ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოფ,ფშბ-რდბჰფ

#! vfhnb 2 ! fghbkb7 @)!@ | 177 (5767) | afcb5 #) stshb

!) 3ფ3ნბლფყ
3ფ[ფქბ სფჯ,ფ4+
სირილ ჰეირი
წმინდა ინგლისური მკვლელობა
შემდეგი — ფრიდრიხ დიურენმატი
ავარია
წიგნი და გაზეთი ერთად 2,5 ლარი






# ივანიშვილმა ენდიაის ამერიკის ელჩთან უკვე უჩივლა

აეკრძალებათ თუ არა ენდიაისა და აირაის სოციოლოგიური გამოკითხვების ჩატარება?

## ნინო ბურჯანაძე: „ჩემი ოჯახის კორუმპირებულობას ვერავინ დაამტკიცებს!“




## აღიარებენ თუ არა საქართველოს თაფლის სამშობლოდ




## ნუგზარ წიკლაური: ოპოზიცია პარანოიას აფრქვევს




პარლამენტი საავაშვილის საქმეს არ შეისწავლის

## ნანა შონია: თეატრში როლებს არ მაძლევენ!“

რატომ მიდიან მსახიობები პოლიტიკაში




## პარლამენტი აფხაზეთში ისტორიული ძეგლების რესტავრაციას“ აპროტესტებს




3ფ[ფქბ სფჯ,ფ4+
F B Y I F B Y B
* კფ3ბ
@*3ფ3ნბლფყ




ISSN 1987-9385

## კახა კუკავა: წიკლაურმა და ხერხეულიძემ გამსახურდიას უღალატეს



ნათია ხურცილავა

# ნანა შონია: „თეატრში როლებს არ მაძლევენ!“

## რატომ მიდიან მსახიობები პოლიტიკაში

**მსახიობი ნანა შონია ამბობს, რომ ის არასდროს არ მალავს თავის პოზიციას, შეხედულებებს. ბოლო წლებში ის ხშირად არის პოლიტიკურ სცენაზე, რაც, როგორც თავად ამბობს, სულაც არ არის მისი არჩევანი.**

როგორ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პოლიტიკურ პროცესებში ჩართულიყო? ენატრება თუ არა აპლოდისმენტები? ამის შესახებ ნანა შონია „ახალ თაობას“ ესაუბრა:

***– ქალბატონო ნანა, რას უკავშირებთ გადაწყვეტილებას, რომ აქტიურ პოლიტიკაში ჩართულიყავით? ხშირად ჩანდით აქციებზე, ოპოზიციის შეხვედრებზე...***

– თავისთავად მოხდა, მაგრამ ჩემში გარკვეული პროტესტი გაჩნდა და, ვფიქრობ, სწორედ ამან მიბიძგა. სიმართლე გითხრათ, ცვლილებას ყოველთვის მივესალმები, მით უფრო, თუ ეს ცვლილება სასიკეთო იქნება და კარგისკენ შეცვლის ადამიანის ცხოვრებას. მაგალითად, ლევან გაჩეჩილაძე რომ გამოვიდა პოლიტიკურ სარბიელზე, საპრეზიდენტო კანდიდატი გახდა, ეს იყო ჩემთვის სერიოზული განაცხადი მისი მხრიდან. რა თქმა უნდა, მას მხარს ვუჭერდი. ჩემი პოზიცია პირველი წუთიდან არ დამიმალავს. იყვნენ ადამიანები, რომლებიც მაშინ ლევანს მხარს უჭერდნენ, მაგრამ არ ამჟღავნებდნენ.

***– რატომ?***

– გარკვეული თავშეკავება არსებობდა, რომელიც მერე შიშში გადაიზარდა. ეს შიში მთელი ამ წლების განმავლობაში მოგვყვება. დღეს შიში ისე მძვინვარებს, რომ მთელი საქართველო მოიცვა.

***– თქვენ დაძლიეთ?***

– მე ვთვლი, რომ პირველ რიგში შიში უნდა გავფანტოთ, ნაწილებად დავშალოთ. დავძლიოთ, უნდა გაქრეს. მესმის, ძალიან ძნელია, ურთულესია. როდესაც შიში არის მამოძრავებელი ძალა და ამით უჭირავთ სადავეები, უხილავი შიშის სადავეებით მართავენ ხალხს. ეს საშინელებაა, ძალიან მსუბუქი შეფასებით არაჰუმანური საქციელია. დაშინებით ადამიანი შეუძლებელია შენიანი გახადო. ეს იმდენად დიდ პროტესტს იწვევს, რომ მოთმენა შეუძლებელია. ერთ ოჯახში ვიყავი სტუმრად და გოგონა ამბობდა – როდესაც სახლში მოდიან და მეუბნებიან, სად მუშაობთ, თუ ხმას არ მომცემთ, სამსახურიდან დაგითხოვთ – ეს ჩემში კიდევ უფრო დიდ პროტესტს იწვევსო. თუ ახლა ხმის მიცემას მთხოვს, ხვალ კიდევ უფრო მეტს მომთხოვსო. ეს სრულიად ბუნებრივია, მხოლოდ ხმის მიცემას რომ არ ჯერდებიან, ეს ძალიან ბუნებრივი რეაქციაა. ასეთი დამოკიდებულება ძალიან ხშირია არამხოლოდ ჩემ ირგვლივ. იქნებ მართლა აპირებს ხმის მიცემას, მაგრამ როდესაც ასეთი აშკარაა ზეწოლა, მაშინ პროტესტიც არ აყოვნებს. ამიტომ ვამბობ, რომ იმედი მაქვს, ასეთი ზეწოლის დროს უკურეაქცია იფეთქებს. ნუთუ ამაზე არ ფიქრობენ? შეიძლება ეს უკურეაქცია ისეთ ხარისხში იყოს, რომ ძალიან სახიფათო აღმოჩნდეს იმათთვის, ვინც ამ შიშს ნერგავს.

***– შიში ყველა სფეროშია?***

– რა თქმა უნდა, ყველა სფეროშია. ყველას შეეხო, ყველას ეშინია, რომ სამსახურს დაკარგავს, რომ მის ოჯახის წევრს, ახლობელს შეექმნება პრობლემა, მაგრამ მე რომ არ შემეშინდება, სხვას რომ არ შეეშინდება, თუ ასეთმა ადამიანებმა იმრავლეს, მაშინ ამას უკვე ვერაფერი მოერევა. შიშის წინააღმდეგ დიდი პროცესი უნდა დაიძრას. მე, მაგალითად, გამოვიდოდი და სათავეში ჩავუდგებოდი მოძრაობას – შიშის წინააღმდეგ. შიში ძალიან ბუნებრივი, ადამიანური გრძნობაა. ვერ ვიტყვი, რომ მე არ შემშინებია, რომ მე ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ სწორედ ამას რომ გადააბიჯებ, მერე შენ თვითონ მოგწონს შენი თავი. გამოირჩევი, ადამიანი ხარ და არა ცხოველი.

***– თქვენ ყოველთვის ღიად გამოხატავთ თქვენს პოზიციას...***

– დიახ, არასდროს არ დამიმალავს ჩემი მოსაზრება, რადგან ვფიქრობ, არავის არ აქვს უფლება, რომ ჩამიხშოს პროტესტი. სხვანაირად შემეძლო მოვქცეულიყავი, რომ ვყოფილიყავი დაინტერესებული მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობით. მართალი გითხრათ, ყველაფერსაც მივაღწევდი



სრულიად უმტკივნეულოდ. ძალიან ახლოს, შორს წასვლა არც დამჭირდებოდა.

***– ამას ხომ კომფორმიზმი ჰქვია?***

– დიახ. ეს მდგომარეობა იმდენად შორს არის ჩემგან, რომ ამ შემთხვევაში კომფორტულად ვერ ვიგრძნობდი თავს. ის ადამიანები, რომლებიც ქუჩაში მხვდებიან და მადლობას მიხდიან, ჩემთვის იმდენად ძვირფასია, რომ ამ მდგომარეობას მართლაც ვერაფერი შეედრება. ეს ადამიანები, რომლებიც ქუჩაში მხვდებიან, იმიტომ კი არ არიან ჩემი მადლიერნი, რომ მე სპექტაკლში მითამაშია ან კინოში, მსახიობი რომ ვარ, იმიტომ კი არა, იმიტომ, რომ კომფორმისტობაზე ვთქვი უარი. ასევე იმ ადამიანების განწყობაც მესმის, რომლებიც ამბობენ, მსახიობებს რა უნდათ პოლიტიკაშიო. მართალია, მე არ უნდა ვაკეთებდე პოლიტიკას, პოლიტიკას პოლიტიკოსები უნდა აკეთებდნენ.

***– ხომ არ გიფიქრიათ, რომ შეცურეთ და ახლა უკან დახევა არ ღირს?***

– არა, თუმცა, ხანდახან მიფიქრია, რომ ეს ყველაფერი ძალიან დიდ დროს მართმევს. რომ ამით ვაკლებ ჩემს პროფესიას, მაგრამ რაღაცნაირად ამით ჩემს პროფესიასაც ვეხმარები. ვფიქრობ, დღეს ამის დროა. თორემ, რასაკვირველია, მე სცენაზე დგომა მირჩევნია. ამ სრულიად ღიად ვამბობ. ათასგზის თავს რომ ვურტყამ სცენაზე, რაღაც რომ არ გამოდის, ის მირჩევნია, მაგრამ დღეს ამის დრო არ არის. მე ამის საშუალება არ მაქვს. როდესაც გრძნობ თუნდაც შენი ერთი სიტყვის საჭიროებას, იმას, რომ რაღაცას შეცვლი, მაშინ უკვე ვალდებული ხარ, თორემ არასდროს არ მიფიქრია პოლიტიკურ კარიერაზე. პოლიტიკური სიტყვების მარაგიც კი არ მაქვს. ჩემი პოლიტიკური ლექსიკონი ძალიან ღარიბია. მე სხვანაირად ვაზროვნებ.

***– სცენაზე გაცილებით კომფორტულად რომ გრძნობთ თავს, გასაგებია. აპლოდისმენტები გენატრებათ?***

– რა თქმა უნდა, მენატრება, არა მხოლოდ აპლოდისმენტები, არამედ ერთი სული მაქვს, რომ ახალ სპექტაკლზე მუშაობა დავიწყო. პროცესი უფრო მენატრება.

***– რეპეტიციის?***

– დიახ. ჩემთვის ყველაზე ძვირფასი არის როლზე მუშაობის, ახლის დაბადების პროცესი.

***– ახლა თუ მუშაობთ რომელიმე რეჟისორთან?***

– ამ წუთში მე აქტუალური არ ვარ.

***– რეჟისორებისგან გრძნობთ, რომ არ უნდათ როლი მოგცენ?***

– ნაკლებად აქტუალური ვარ, ეს მდგომარეობა თეატრსაც ეხება. ახლა თეატრისთვის არავის არ სცალია. რაც რუსთაველის თეატრში ხდება, არ მომწონს. რაც მოხდა რობერტ სტურუასთან დაკავშირებით, აღმაშფოთებელი იყო. რუსთაველის თეატრი სტურუას შემდეგ შეიცვალა, თითქოს რაღაც გამოეცალა. მხოლოდ შოუების ასპარეზად გადაიქცა. თუმცა, ცხოვრება წინ მიდის და მესმის, რომ შოუც უნდა იყოს, მაგრამ სპექტაკლი? იდგმება კი? თითქოს ფუნქცია შეიცვალა.

***– სტურუას შემდეგ?***

– ყოველ შემთხვევაში, დაემთხვა. თითქოს სტურუა გაუშვეს და გაუგებარი რამ ხდება.

***– სპექტაკლის ეპოქა დასრულდა და შოუს ხანა დადგა?***

– ამას ცდილობენ. მე ამას ვებრძვი და მინდა ქართული თეატრი, კინო დავიცვა. ეს არის ჩვენი კოზირი, თუ შეიძლება ასე ითქვას. ქართული, მუსიკა, კინო, მხატვრობა ეს არის ჩვენი დროშა და ამის შეცვლას ყალბი გადაცემებით ცდილობენ. თუმცა, მე მესმის, რომ ყველანაირი გასართობი გადაცემა უნდა არსებობდეს, მაგრამ მხოლოდ ეს?! ეს შეუძლებელია. ეს იწვევს ჩემში აღშფოთებას. ჩემთვის ძალიან ძვირფასია ეს სამყარო, ახალი პარტნიორები, ახალი ჯგუფი, რომელიც შედგება ხოლმე. ამ ურთიერთობებით ცხოვრობს მსახიობი, მეც ამით ვცხოვრობ. კოლეგებთან ურთიერთობები ძალიან ძვირფასია ჩემთვის და ამას მე ვერაფერი ვერ შემიცვლის ვერასდროს. სწორედ ეს რომ მე მეძვირფასება, ამიტომ ვიბრძვი ამის გადარჩენისთვის. ხალხს უნდა ეცალოს სპექტაკლისთვის. დღეს, ტელევიზია, გინდა თუ არა, ყველას ოჯახშია და გვეუბნება, რომ ყველაფერი კარგად არის. მშვენიერია, ბრჭყვიალაა ცხოვრება. არ არის ასე, ბევრი რამ გადაშენების გზაზეა და ამას ჩვენ არავინ გვაჩვენებს. ადამიანებს უჭირთ.

***– კოლეგები ახსენეთ, ძალიან არაერთგვაროვანი მდგომარეობაა, ვიღაცის მომხრეებად და მოწინააღმდეგებად დაიყო საზოგადოება. სხვათა შორის, ეს ძალიან მძლავრად შეეხოთ მსახიობებს. შეგიძლიათ გვითხრათ, რომ ამის გამო დაპირისპირება გქონიათ? მეგობარი დაგიკარგავთ?***

– მე ამას არ დაუშვებ. ამის მაგალითები იყო უახლოეს ისტორიაში. ძალიან ბევრი ჩემი მეგობარი არ იზიარებს ჩემს პოლიტიკურ შეხედულებას. მე ამის შესახებ ვიცი და ამიტომ ვცდილობ, რომ მასთან ამ საკითხზე არ ვიკამათო. ადამიანურად მე არ დავუშვებ, რომ პოლიტიკური შეხედულების გამო კონფლიქტი მოხდეს. სად არის დასაკარგი მეგობარი, მით უმეტეს, ჩემს სფეროში. სანთლით არის საძებნი. ძალიან ბევრი ტკივილი მაქვს გადატანილი.

***– როგორც ვიცი, ძალიან რთული სფეროა ურთიერთობების თვალსაზრისით...***

– ძალიან. ძალიან ბევრი ტკივილი გადავიტანე მეგობრისგან. მეგობრებისგან იცით როგორი ღალატი მაქვს, რომ მოგიყვეთ, ალბათ არც დამიჯერებთ. მეც კი არ მჯერა, მაგრამ ეს რეალობაა. ამიტომ ვისთან ერთადაც ვმეგობრობ, ვისთან ერთადაც ვმუშაობ და ვინც ძალიან მიყვარს, არ დავუშვებ, რომ პოზიციის გამო ეს ურთიერთობები დავანგრიოთ. გავა დრო, ყველაფერი დალაგდება, მაგრამ გატეხილ ურთიერთობებს არაფერი ეშველება. მეგობრობას ველარ იყიდი. ვერ დაიბრუნებ, ამიტომ ძალიან უნდა გაუფრთხილდე.

***– ძალიან გეძვირფასებათ და უფრო მაღლა დგას ვიდრე პოლიტიკაა... ...***

– რასაკვირველია. ამის გამო მე მათ ვერ დავკარგავ, თუმცა, ვერც მათ აზრს ვერ გავიზიარებ. საერთოდ ვერ ვეთანხმები გამოთქმას: ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემი მტერია. ეს ძალიან არალიბერალური დამოკიდებულებაა.

***– ქალბატონო ნანა, არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი ბრძანდებით...***

– ეს არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია და არავითარი პარტია არ არის, არც გახდება არასდროს. ამიტომაც ვარ ამ ორგანიზაციის წევრი. ძალიან დემოკრატიული მოძრაობაა. 2 აპრილს ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში მოხდება „არჩევანთა ლიგის“ დაფუძნება, პრეზენტაცია. ეს დღე მართლაც გადაწყვეტს რაღაცას. ბევრი მირეკავს, რომ შემოგვიერთდნენ.

***– 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები ერთგვარი წყალგამყოფი შეიძლება გახდეს. თქვენ რას ელოდებით?***

– მე ვთვლი, რომ ეს არჩევნები მთელი ერის პოტენციალს წარმოაჩენს. რა შეგვიძლია? რა არჩევანს ვაკეთებთ? ან ვიჩეხებით, ან პირიქით, საოცარი აღმასვლა შეიძლება მოხდეს. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს პროცესი ძალიან რთული იქნება. ცვლილებები ყოველთვის ძალიან ძნელია და სანამ ის დალაგდება, დარეგულირდება, რთული იქნება. არჩევნები ნორმალურად უნდა ჩატარდეს. ისე, რომ კითხვები არ გვქონდეს.

***– როდესაც გაიგეთ, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში ღიად მიდის, რა განცდა დაგეუფლათ?***

– ეს იყო შოკი. წარმოიდგინეთ წვიმს, მოქუფრული ამინდია, ღრუბლებია, ცივა და უცებ ფანჯარაში იხედები და ხედავ, რომ მზე გამოდის, ცისარტყელაა, ყველაფერი მშრალია. უცებ განათდა. ჩემში ზუსტად ასეთი რამ მოხდა. მე დავინახე იმედი. ძალიან წონიანი ფიგურაა და მისი განაცხადი უბრალოდ ისე არ იქნება. რამდენი წელია ადამიანი მთელ ჩემს სფეროს ეხმარება ისე, რომ მისი სახე არც არავის ენახა. არ ვიცოდით, როგორი იყო. ენდიაის გამოკითხვას მინდა შევეხო, 70 პროცენტი უჭერს მის მოქალაქეობის აღდგენას მხარს, მე ესეც მეცოტავება. ვთვლი, რომ 99 პროცენტმა უნდა დაუჭიროს მხარი. მე იმ ერთი პროცენტისაც არ მესმის. ამ კაცმა თავის ხალხს რომ გაუკეთა, კიდევ ვინ გაუკეთა? ამ ადამიანს რომ ართმევ მოქალაქეობას, ეს სადაური წესია?! ეს ჩემთვის აღმაშფოთებელია. ძალიან მიკვირს ქართველების თუ ეს მართალია. ჩანს, რომ ის ძალიან დინჯად მიყვება თავის ჩანაფიქრს. მე ვთვლი, რომ მას მოთმინების ფიალა აევსო. თავიდან ყველა ამ ხელისუფლებას ვუჭერდით მხარს, მეც მათ შორის მთელი არსებით.

***– როდის იყო ბოლო წვეთი?***

– აღარ მახსოვს, ძალიან ნელნელა მოხდა ეს პროცესი, მაგრამ 2008 წლის 5 იანვრის არჩევნებზე მივხვდი, რომ მართლა ბოლო წვეთი იყო. მაშინ დავრწმუნდი, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგი.

***– ცვლილებებს ელოდებით?***

– თუ ეს არჩევნები ნორმალურად, თავისუფლად ჩატარდა და ე.წ. კარუსელი არ დატრიალდა, რა თქმა უნდა, ცვლილებებს ველოდები. თუ ასე არ მოხდა, ძალიან ცუდად წავა ყველაფერი.

# კახა კუკავა: წიკლაურმა და ხერხეულიძემ გამსახურდიას უღალატეს

გულიკო ბალაძე

31 მარტი საქართველოს დამოუკიდებლობის თაობაზე 1991 წელს ჩატარებული რეფერენდუმის დღეა. ამ დღეს ქართველმა ერმა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. რეფერენდუმში, რომელშიც დასმული იყო კითხვა, გსურთ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, მონაწილეობა მიიღო საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ და ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

31 მარტი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეცაა, რომელმაც, ფაქტობრივად, თავი შესწირა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას.

თბილისში განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა განაპირობა ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული ბედიც.

1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის დანაშაულებრივი და სამწუხარო მოვლენების ტრაგიკული გაგრძელება იყო 1992 წლის 14 მარტს კლასიკოსი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის საცხოვრებელი სახლის გადაწვა, რა დროსაც განადგურდა მწერლისა და პრეზიდენტის არქივები.

ნიშანდობლივია, რომ დღესაც, 20 წლის შემდეგ, კოლხური კოშკი კვლავაც იავარქმნილია და მისი აღდგენა დღემდე არ მომხდარა.

პირველი, ვინც ცეცხლმოკიდებული კოლხური კოშკის გადასარჩენად მივიდა, გურამ შარაძე იყო, რომელსაც შემდეგ პირადად ზვიად გამსახურდიამ სთხოვა ეპატრონა დამწვარი კოლხური კოშკისა და ცეცხლსგადარჩენილი არქივისა თუ ნივთებისთვის. ამისთვის მას ზვიად გამსახურდიამ მინდობილობაც კი გამოუგზავნა, რომელსაც ჩეჩნეთის ქალაქ გროზნოში შეატყობინეს კოლხური კოშკის განადგურების ამბავი. სამწუხაროდ, შემდეგ გურამ შარაძეც გახდა მსხვერპლი ამ რეჟიმისა. ის მელიქიშვილის ქუჩაზე მიმავალი მოკლეს...

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

შალვა ჯოხაძე

# აეკრძალებათ თუ არა ენდიაისა და აირაის სოციოლოგიური გამოკითხვების ჩატარება?

# ივანიშვილმა ენდიაის ამერიკის ელჩთან უკვე უჩივლა



წინასაარჩევნო კვლევები ყოველთვის უკმაყოფილებისა და აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი ხდება. თუმცა, ბოლო დღეებში გამოქვეყნებულმა გამოკითხვებმა განსაკუთრებული აჟიოტაჟი გამოიწვია. მაგალითად, ბიძინა ივანიშვილის კოალიციამ ენდიაის უნდობლობა გამოუცხადა და დაემუქრა კიდეც. ივანიშვილის კოალიციის წარმომადგენლების შეფასებით, კვლევის ანალიზი და კომენტირება ყოველგვარ აზრს მოკლებულია.

— კვლევებთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩვენს კოალიციაში გაერთიანებული პოლიტიკური ძალები უახლოეს პერიოდში წერილობით მივმართავთ აშშ-ის მთავრობასა და შესაბამის ორგანიზაციებს, სადაც ავსახავთ ჩვენს წინადადებებს საპარლამენტო არჩევნებამდე ამ პრობლემების მოგვარების თაობაზე, — განაცხადეს „ქართულ ოცნებაში“ და ამ მუქარანარევი დაპირების შესრულება უკვე დაიწყეს. ცოტა ხნის წინ „ქართული ოცნების“ წერილი აშშ-ის ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა მიიღო.

ჯონ ბასმა გუშინ აღნიშნა, რომ ამ წერილის თაობაზე ვრცლად უახლოეს მომავალში ისაუბრებს, თუმცა, დასძინა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი დემოკრატიული ორგანიზაციაა.

— ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც ფინანსდება აშშ-ის მთავრობისგან, თუმცა, დამოუკიდებელია და დაფინანსებას სხვა ორგანიზაციებისგანაც იღებს. ის ძალიან ღირებულ სამუშაოს ასრულებს საქართველოში და ჩვენ გვჯერა მისი შესაძლებლობების, — განაცხადა ჯონ ბასმა.

ბასმა კარგად უნდა გააანალიზოს კოალიცია „ქართული ოცნების“ წერილი, რომელიც საკმაოდ ვრცელია და მრავალ დეტალს შეიცავს.

— პირველ რიგში, გვინდა, კიდევ ერთხელ გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება აშშ-ის მთავრობის მიერ ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოსთვის აღმოჩენილი ფასდაუდებელი დახმარების, მათ შორის უესეიდის ეგიდით განხორციელებული მრავალრიცხოვანი პროგრამების გამო. ჩვენთვის, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის საქმიანობა, რომელსაც წლების განმავლობაში ეწევიან ენდიაისა და აირაის ადგილობრივი ოფისები. ამ ორგანიზაციების ხელშეწყობით ჩვენ საშუალება გვეძლევა, გავაძლიეროთ მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის საფუძვლები, ავამაღლოთ პოლიტიკური ლიდერებისა და აქტივისტების კვალიფიკაციის დონე, შევიმუშაოთ და დავხვეწოთ პარტიების პოლიტიკური პლატფორმები და პროგრამები, გავაუმჯობესოთ კომუნიკაცია მოსახლეობასთან და სხვა, — ასე იწყებენ ბასისადმი მიმართვას კოალიციის წარმომადგენლები.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა განცხადებით, ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების პერსონალური წვლილი. მაგალითად, მათმა ოპერატიულობამ და მონდომებამ მნიშვნელოვნად განაპირობა ოპოზიციონერი აქტივისტების წინააღმდეგ კონტროლის პალატისა და პოლიციის მიერ ამ ორიოდე კვირის წინ წამოწყებული მასშტაბური რეპრესიების თაობაზე ობიექტური ინფორმაციის გავრცელება, რამაც აღნიშნული რეპრესიები შეაჩერა (იმედია, არა დროებით).

— გვინდა, თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ამ ორგანიზაციების მიერ წლების განმავლობაში განხორციელებულ ერთ პროექტზე — სოციოლოგიურ კვლევებზე. ჩვენ ეჭვი არ გვეპარებოდა და არც ახლა გვეპარება ამ პროექტის ინიციატორთა კეთილ ზრახვებში, ისევე, როგორც ამგვარი პროექტების საჭიროებაში. მაგრამ ჩვენთვის სრულიად აშკარაა, რომ რიგი მიზეზების გამო პროექტი არათუ ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, არამედ კონტრპროდუქტიული გახდა დემოკრატიზაციის, კონკურენტული პოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბებისა და მოქალაქეების მიერ ინფორმირებული პოლიტიკური არჩევანის გაკეთებისათვის. ერთი მხრივ, აღნიშნული კვლევების ჩატარებისა და შედეგების გამოქვეყნების მეთოდოლოგიამ და ფორმატმა და, მეორე მხრივ, მმართველი პარტიის მიერ ნაციონალური ტელევიზიების გამოყენებით ამ შედეგებით მანიპულირებამ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს კვლევებისადმი ნდობა დააკარგვინა.

კვლევების შედეგების ის ნაწილი, რომელიც პოლიტიკური პარტიების და ლიდერების რეიტინგებს ეხება და რომელიც ყველაზე მეტ საზოგადოებრივ ინტერესსა და აჟიოტაჟს იწვევს, არ ქვეყნდება კვლევების ჩამტარებელი ორგანიზაციების მიერ. ყოველ კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას ეძლევა მხოლოდ საკუთარი შედეგები ან მხოლოდ პრეზენტაციის დროს ეძლევათ მათი გაცნობის საშუალება. ამასობაში, ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ნაციონალური ტელევიზიები მყისიერად იწყებენ ინტენსიურ პროპაგანდისტულ კამპანიას და აქვეყნებენ ყველა პარტიისა და ლიდერის მონაცემებს, რომელიც მათ მიაწოდა „კონფიდენციალურმა წყარომ“, — აღნიშნავენ „ქართულ ოცნებაში“.

კოალიციის წარმომადგენელთა თქმით, ტელევიზიებით გავრცელებული მონაცემების შესაბამისობის დადგენა კვლევის ნამდვილ შედეგებთან შეუძლებელია, ვინაიდან ყოველ პარტიას, უკეთეს შემთხვევაში, აქვს მხოლოდ მისი საკუთარი მონაცემი, ხოლო კვლევების ჩამტარებელი ორგანიზაციები არც ადასტურებენ და არც უარყოფენ მედიით გავრცელებული მონაცემების სისწორეს.

კვლევების ჩატარებისა და შედეგების შეჯამების მეთოდოლოგიის ძირითადი ნაწილი ხელმიუწვდომელია დაინტერესებული პირებისთვის. მაგალითად, უცნობია მგრძნობიარე პოლიტიკურ კითხვებზე რესპონდენტთა გულწრფელობის ხარისხის გასარკვევად და შედეგების კორექტირებისთვის გამოყენებულია თუ არა რაიმე მეთოდი. ამ საკითხის გადაწყვეტის არასწორმა მეთოდოლოგიამ, შესაძლოა, ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი (და პერსონალურ უსაფრთხოებაზე ნაკლებად მზრუნველი) რესპონდენტების წილის ხელოვნური ზრდა და საზოგადოებაში არსებული რეალური განწყობების მნიშვნელოვნი დამახინჯება გამოიწვიოს. ამგვარ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მიცემა აკრძალული აქვთ კვლევის პროცესში მონაწილე ადგილობრივ ორგანიზაციებსაც.

„ქართულ ოცნებაში“ მიაჩნიათ, რომ ამ პრობლემების შედეგად: ოპოზიციური პარტიები და ლიდერები წელიწადში ოთხჯერ ხდებიან ხელისუფლების მასირებული პროპაგანდისტული შეტევის მსხვერპლნი, რომელსაც, ნებსით თუ უნებლიეთ, ზურგს უმაგრებს ენდიაისა და აირაის ბრენდები.

კვლევების ერთი სეგმენტის — პოლიტიკური რეიტინგების თაობაზე ატეხილი აჟიოტაჟისა და ამ შედეგებით მანიპულირების გამო მცირდება ყურადღება და იკარგება საზოგადოების ნდობა კვლევების შედეგების ძირითადი ნაწილის თაობაზეც.

ოპოზიციური პარტიები რჩებიან მხოლოდ საკუთარი მონაცემების ანაბარა, რომელიც საერთო სურათის გარეშე რაიმე საფუძვლიანი ანალიზისა და დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა. სახელისუფლებო პარტიას კი, კოალიციის წარმომადგენელთათვის უცნობი არალეგალური გზებით და საშუალებებით, ყოველთვის აქვს სრული მონაცემები, რასაც იყენებს სრულფასოვანი ანალიზისთვისაც და მანიპულირებისთვისაც.

„ქართულ ოცნებაში“ მიაჩნიათ, რომ კვლევების ჩამტარებელი ორგანიზაციები ექცევიან პოლიტიკური სპეკულაციების ეპიცენტრში ანუ შედეგად მაინც იღებენ იმას, რისი თავიდან აცილებისთვისაც შემუშავდა პოლიტიკური რეიტინგების არგანსაჯაროების პოლიტიკა. მეტიც, საზოგადოების თვალში ისინი იძენენ არა მხოლოდ „ადგილობრივ პოლიტიკაში ჩარეული“ მოთამაშეების იმიჯს, არამედ „ადგილობრივ პოლიტიკაში ხელისუფლების მხარეზე ჩარეული“ მოთამაშეების იმიჯს. კვლევების მეთოდოლოგიის, ველის მონაცემების და ყველა შედეგის განუსაჯაროებლობა ეჭვის ქვეშ უსამართლოდ აყენებს კვლევის მომზადებაში, გამოკითხვის ჩატარებაში, შედეგების შეჯამებაში და შედეგების გამოქვეყნებაში ჩართული მრავალი პირისა და ორგანიზაციის პროფესიონალიზმსა და ობიექტურობას.

— აღნიშნული პრობლემები წლების განმავლობაში ჩვენ არაერთხელ დავსვით როგორც უშუალოდ ენდიაისა და აირაის ადგილობრივი და ვაშინგტონელი ხელმძღვანელების, ისე აშშ-ის მთავრობისა და კონგრესის წარმომადგენლებთან შეხვედრებისას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ დასმული საკითხები ხშირად იმსახურებდა მათ ყურადღებას, დღემდე ბევრი არაფერი შეცვლილა. მთავარი არგუმენტი ყოველთვის იყო ის, რომ ამგვარი კვლევები ორივე ორგანიზაციის მიერ მრავალ ქვეყანაში ტარდება ერთი და იმავე მეთოდით და სპეციალურად საქართველოსთვის ვერაფერს შეცვლიდნენ.

ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ იყო ინიციატივა ქართული კვლევითი ორგანიზაციების მონაწილეობით პარალელური კვლევების ურთიერთმონიტორინგით განხორციელების შესახებ, რაც უარყოფილ იქნა ორივე ორგანიზაციის მიერ იმ მოტივით, რომ მათ არ აქვთ ამგვარი პრაქტიკა და რომ ისინი ვერ ითანამშრომლებენ მიკერძოებულ კვლევით დაწესებულებებთან.

ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს პატივისცემას როგორც ენდიაისა და აირაის წარმომადგენლების, ისე კვლევების საკითხში მათი ზოგადი პოლიტიკისადმი, მაგრამ ვთვლით, რომ მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებამდე არსებული მეთოდით კვლევების ჩატარება შეუწყობს არა მოქალაქეთა თავისუფალი ნების ფორმირებასა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას, არამედ ხელისუფლების პროპაგანდისტული მანქანის გაძლიერებას და სხვადასხვა სახის მანიპულაციებისთვის აღნიშნული ორგანიზაციების ბრენდების კიდევ უფრო მეტად გამოყენებას, — აცხადებენ კოალიციაში.

კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, შესაბამისად, ჯონ ბასს მიმართავენ წინადადებით, საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში ენდიაიმ და აირაიმ შეწყვიტონ სოციოლოგიური კვლევებით პოლიტიკური რეიტინგების გაზომვა. კოალიცია მზადაა, საჭიროების შემთხვევაში, ბასს დამატებითი არგუმენტები და ფაქტები მიაწოდონ, უპასუხონ კითხვებზე და სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ ამ საკითხის განხილვაში.

რაც შეეხება ენდიაის, ეს ორგანიზაცია მედიით გავრცელებულ გარკვეულ მონაცემებს უარყოფს. ენდიაის საქართველოს წარმომადგენლობის შეფი, ლუის ნავარო, მოზომილ კომენტარებს აკეთებს.

— არ მსურს კომენტარი გავაკეთო კვლევის იმ ნაწილზე, რომელიც ჩვენ არ გამოგვიქვეყნებია. ჩვენ არ გამოგვიქვეყნებია შედეგები იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს ხალხი კონკრეტულ საარჩევნო საკითხებზე. ეს შედეგი შემდეგი მიზეზით არ გამოვაქვეყნეთ — ადრე, როცა კვლევებს საერთოდ არ ვაქვეყნებდით, აქცენტის გაკეთება ხდებოდა მხოლოდ რეიტინგებზე. 2010 წლიდან დავიწყეთ მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გამოქვეყნება. ამასთან, არის ნაწილი, რომელიც პოლიტიკურ კონკურენციას ეხება და ის არ არის საჯარო.

ადრე ხალხს ინფორმაციის ნაკლებობა ჰქონდა. ახლა კი, ჩვენი გადასახედიდან, მიღწევა ის არის, რომ ხალხის მთავარი პრიორიტეტები და ინტერესები უკვე საჯაროდ განიხილება. ჩვენ არ ვაქვეყნებთ პოლიტიკურ საკითხებზე გამოკითხვის შედეგებს, რადგან არ ვფიქრობთ, რომ ეს ხალხისთვის ყველაზე საინტერესო ნაწილია. ვფიქრობთ, რომ ხალხს ის საკითხები უფრო აინტერესებს, რომლებიც მათ ეხება და სწორედ ამიტომ ვაკეთებთ ამაზე აქცენტს, — განუცხადა ნავარომ ინტერპრესნიუსს.

ნავარომ ახსნა ისიც, თუ რატომ გამოიწვია ენდიაის ბოლო კვლევამ ასეთი მძაფრი რეაქცია.

— იმიტომ რომ ეს საარჩევნო წელია. ასეთი გამოხმაურება 2011 წლის კვლევას არ მოჰყოლია. მაშინ იაგო კაჭკაჭიშვილმა და მარინა ჩიტაშვილმა ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შემთხვევითი შერჩევის პრინციპი დადებითად შეაფასეს. ახლა კი არის სურვილი, რომ კვლევის დეტალების შესახებაც ვისაუბროთ. ამას ვხსნი იმით, რომ წინა წელი საარჩევნო წელი არ იყო და არც ბიძინა ივანიშვილი ჩანდა. წელს კი საარჩევნო წელია და ივანიშვილიც მნიშვნელოვანი ფიგურაა. ამგვარი რეაქცია საკმაოდ გასაგებია, რადგან ხალხი ყოველთვის იმედგაცრუებული იქნება, თუ საკითხები მათ სასარგებლოდ არ გადაწყდება. ჩვენი კვლევები ასახავს როგორც ხალხისთვის იმ საკითხებს, თუ რა არის ხალხისთვის მისაღები, არამედ იმ თემებსაც, რომლებშიც ხალხი მწვავედ არ ეთანხმება მთავრობას. რეალური უთანხმოება კი არის შემდეგ საკითხებზე — რუსეთთან ურთიერთობა, ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობა, ასევე წუხილი ელექტროენერგიის გადასახადზე ნაგვის გადასახადის მიბმის, კომუნალურ და ტრანსპორტის გადასახადების, ფასების ზრდისა და ინფლაციის გამო. იმედი მაქვს, რომ პოლიტიკური პარტიები ამ სპექტრს გადაკვეთენ და უფრო მეტ დროს დაუთმობენ იმ საკითხებს, რომლებიც ხალხს აწუხებს, — აცხადებს ნავარო.

# ალიარებენ თუ არა საქართველოს თაფლის სამშობლოდ

შალვა ჯოხაძე

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისას 2003 წელს შემთხვევით აღმოჩენილი დიდგვაროვანი ქალის სამარხი ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი აღმოჩნდა. მართალია, სამარხი უკვე გაძარცვული იყო, თუმცა, საფლავში დარჩენილი თიხის ჭურჭლის შიდა ზედაპირზე მეცნიერებმა სხვადასხვა სახეობის თაფლის კვალი იპოვეს. სულ სამი სახეობის თაფლი აღმოჩნდა — ცაცხვის, მარცვლოვანი მცენარეების მტვრისა და მინდვრის ყვავილებისაგან დამზადებული. გაჩნდა მოსაზრება იმასთან დაკავშირებითაც, რომ ეს დიდგვაროვანი ქალი მეფუტკრეობით იყო დაკავებული, თუმცა, ყველაზე მთავარი ისაა, რომ აღმოჩენილი თაფლი ყველაზე ძველია, რაც კი მსოფლიოში აქამდე აღმოუჩენიათ. ჯერჯერობით უცნობია, ალიარებენ თუ არა საქართველოს თაფლის სამშობლოდ.

ამ დრომდე მიიჩნეოდა, რომ ყველაზე ძველი თაფლი ეგვიპტეში, ტუტანჰამონის სამარხში იპოვეს. ცნობილია, რომ მუმიფიცირებისას ეგვიპტელები თაფლს იყენებდნენ და ეს თაფლიც სამარხში ასე აღმოჩნდა.

საქართველოში გაკეთებული აღმოჩენის შემდეგ ჩვენი არქეოლოგები ფიქრობენ, რომ ქართული თაფლი ეგვიპტურზე ორი ათასი წლით ძველია. აქამდე მიიჩნეოდა, რომ ყველაზე ძველი ნიმუში ტუტანჰამონის სამარხში იყო ნაპოვნი. კვლევებმა აჩვენა, რომ ქართული თაფლი დაახლოებით 5 500 წლისაა, ტუტანჰამონის საფლავში ნაპოვნი ნიმუში კი 3 500 წლის წინ არის დამზადებული.



ალსანიშნავია, რომ ამ აღმოჩენას საქართველოს პარლამენტშიც კი გამოეხმაურნენ. დეპუტატ გია თორთლაძის ინფორმაციით, მსოფლიომ საქართველო შესაძლოა თაფლის სამშობლოდ აღიაროს. თორთლაძემ ეს განცხადება ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე გააკეთა.

— ამ ფაქტთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია ცნობილი უახლოეს მომავალში გახდება, — დასძინა თორთლაძემ.

ისტორიულ აღმოჩენასთან დაკავშირებით პრესა.ჯი საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო კვლევების ლაბორატორიის ხელმძღვანელ ირინა ღამბაშიძეს ესაუბრა.

ღამბაშიძე იხსენებს, რომ უძველესი თაფლი ბორჯომის რაიონის სოფელ საკირესთან, კოდიანის მთის ძირში, 2003 წელს, სამცხე-ჯავახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა.

— აღმოაჩინეს ყორღანი, რომელიც მესამე ათასწლეულის შუახანებით თარიღდება. ეს ყორღანი სადღაც 5 500 წლისაა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ორი ცალი ჭურჭელი იქნა აღმოჩენილი, მაგრამ სამარხი გაძარცვული იყო. შემდგომი კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ამ ჭურჭელში მიცვალებულს თან თაფლი ჰქონდა ჩატანებული. აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიური სამუშაოები კომპანია ბრითიშ-პეტროლეუმმა დააფინანსა, რადგან ამ ყორღანის აღმოჩენა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის გაყვანის დროს მოხდა.

აღმოჩენილ ორივე ჭურჭელს კვლევები თბილისში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ლაბორატორიაში ჩაუტარდა და ელისო ყვავაძემ აღმოაჩინა, რომ ჭურჭელში თაფლი იყო. ამასთან, კვლევით დადგინდა, რომ აქ არის ის მრავალფეროვანი მცენარეული მტვერი, რომელიც ამ შემოგარენში მცენარეებს აქვთ. ამის გამო 2004 წელს პირველად სრული ანგარიში გავაკეთეთ და დასკვნა დაიდო, რომ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი თაფლი აქვს. მართალია, თაფლი ტუტანჰამონის სამარხშიც იქნა აღმოჩენილი, მაგრამ ქართული თაფლი ტუტანჰამონის თაფლზე გაცილებით ძველია. ზოგადად, თაფლი ისეთი პროდუქტია, რომელიც ადამიანის შექმნილი არ არის და არც მის განვითარებაზეა დამოკიდებული. აქ მეფუტკრეობაზეა საუბარი. ვთვლით, რომ ეს ჭურჭელი მეფუტკრეობის არსებობის პირველი დადასტურებაა. აღსანიშნავია, რომ ჯერ რიტუალია შესრულებული და სამარხში ისეა თაფლი ჩატანებული. ამ აღმოჩენას სამეცნიერო წრეებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან თაფლი, როგორც სამარხეული თანმხლები, ისე იყო ჭურჭელში. სამარხში აღმოჩენილი ნარჩენები ყოველთვის საინტერესოა, — უთხრა ირინა ღამბაშიძემ პრესა.ჯის.

ღამბაშიძის ინფორმაციით, აღმოჩენილი ჭურჭელი ადრე ახალციხის მუზეუმში იყო გამოფენილი, მაგრამ ამ ეტაპზე ევაკუირებულია, რადგან რეგიონში ახალი მუზეუმი შენდება და ნივთები სხვაგან არის გადატანილი.

# ნუგზარ წიკლაური: ოპოზიცია პარანოიას აფრქვევს

თეა მარხვაიძე

საპარლამენტო ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ გუშინ სხდომათა დარბაზში ცეცხლის დანთებას შეეცადა. ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ კოლეგებს პრეზიდენტის მამხილებელი დოკუმენტები წარუდგინა, პარალელურად კი საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვა.

წესით და რიგით, კოლეგა ნაციონალებს მისი მოთხოვნა უნდა დაეკმაყოფილებინათ. სხვა თუ არაფერი, 30 მარტს ჯონდი ბაღათურიას დაბადების დღე იყო. ეს ამბავი კოლეგებს სხდომის წამყვანმა გიგი წერეთელმა შეახსენა. მას შემდეგ რაც დავით ბაქრაძე უგანდაში გაიჭრა, ხოლო მიშა მაჭავარიანი – უკრაინაში, სხდომები გიგი წერეთელს მიჰყავს.

წერეთელმა კოლეგებს სთხოვა, ტაშით მიელოცათ ბაღათურიასთვის დაბადების დღე. ნაციონალებს ოპოზიციონერისთვის ტაშიც კი დაენანათ და ამის შემდეგ ისინი კომისიის შექმნას დაუჭერდნენ მხარს?

მხარდაჭერას ვინ ჩივის, ნაციონალები დოკუმენტების წარდგენასაც კი არ დაესწრნენ. ისინი ერთმანეთის მიყოლებით ტოვებდნენ სხდომათა დარბაზს. ამის გამო ბაღათურიამ პრეზიდენტისა და მისი ოჯახის კორუფციულობის დამადასტურებელი დოკუმენტები პარლამენტის პლენარულ სხდომაზე თითქმის ცარიელ დარბაზში წარადგინა.

ამან ოპოზიციონერების უკმაყოფილება გამოიწვია, ბაღათურია გიგი წერეთლის განცხადებამაც გააღიზიანა, რადგანაც წერეთელმა საკითხის განხილვამდე მხოლოდ საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი გამოაცხადა.

– გიგი წერეთელმა ეს საკითხი მოკლედ შეგნებულად გამოაცხადა. მას სახელებისა და გვარების ხსენება ეუხერხულება. სახელებს რატომ არ ახსენებთ? – ჩაეძია ბაღათურია წერეთელს.

ამ ჩაძიებამ გიგი წერეთელი გააკვირვა და გააღიზიანა.

– ნამდვილად გაუგებარია, რატომ არის ბაღათურია დღის წესრიგის საკითხის სახელწოდების შემოკლების წინააღმდეგი, – გაიკვირვა წერეთელმა.

მას შემდეგ, რაც ბაღათურიამ და წერეთელმა აღშფოთება და გაკვირვება გაცვალეს სხდომათა დარბაზში კომპრომატები ააფრიალეს. ბაღათურიას წარმოდგენილი დოკუმენტები 120 გვერდს შეიცავდა.

დოკუმენტების წარდგენა პროექტორის მეშვეობით დიდ ეკრანზე მოხდა. პროექტორი თავად ოპოზიციამ მოითხოვა. არადა, ერთი დღის წინ მათ პროექტორი სხდომათა დარბაზში შეაჩვენეს.

გიგი წერეთელი რისი გიგი წერეთელი იყო, ეს ამბავი რომ არ შეეხსენებინა ოპოზიციისთვის. მან ირონიულად შეახსენა კოლეგებს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებზე უარი არ უნდა ითქვას.

როცა საჭირო გახდა, მათზე უარი ოპოზიციამ აღარ თქვა, თუმცა, მთლად ეფექტიანად ვერ გამოიყენა ეს ტექნოლოგია, რადგანაც, როგორც უკვე ვთქვით, კომპრომატების ფრიალი ნახევრად ცარიელ დარბაზში მოხდა.

კომპრომატების მოფრიალე იუბილარმა განსაკუთრებულად აკო მინაშვილი და გოკა გაბაშვილი მოიკითხა.

– კარგი იქნებოდა, ამ პრეზენტაციისას კორუფციასთან მებრძოლი რაინდები: გაბაშვილი და მინაშვილი სხდომათა დარბაზში ყოფილიყვნენ, – განაცხადა დეპუტატმა.

ის კიდევ უფრო ნაწყენი დარჩა, როცა საკითხი კენჭისყრაზე დადგა. კენჭისყრაში 77 კანონმდებელი მონაწილეობდა. აქედან კომისიის შექმნას მხარი მხოლოდ 7-მა კაცმა დაუჭირა, დანარჩენი 70 კი სასტიკი წინააღმდეგი იყო. შესაბამისად, კომისია არც შეიქმნა.

ეს ფაქტი კი ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ ძალიან ბევრს ნიშნავს. ოპოზიციის თქმით, ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ხელისუფლება კორუფციას არ ებრძვის.

ოპოზიციის მიერ წარდგენილ დოკუმენტებს ბოლომდე ადევნებდა თვალს ბიძინა ივანიშვილის საპარლამენტო რისხვა, ნუგზარ წიკლაური. მისი თქმით, ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისათვის“ პარანოიას აფრქვევს.

წიკლაურმა პარანოიის მიზეზებიც გამოიკვლია. კვალმა ის ბიძინა ივანიშვილამდე მიიყვანა.




– ასეთი სისასტიკე, რასაც იჩენს ივანიშვილი ამ ადამიანების მიმართ, არ მინახავს. სამი თვეა ადამიანები გიჟებად გადაიქცნენ. ვხედავთ თეატრალურ წარმოდგენებს ხან ერთის, ხან მეორის შესრულებით. ყოველგვარ უგვანობასა და უზნეობას ვხედავთ, რაც კი ადამიანმა შეიძლება გააკეთოს. შეიძლება, ასეთი სასტიკი იყოს ადამიანი, რომ ეს ლტოლვა ვერ დაინახოს? რა გახდა, რომ სხვებს აძლევენ ამ მილიონებს და ამათ ვერ ხედავენ? პრეზიდენტის ოჯახის ე,წ. კორუფციული სქემები არაარგუმენტირებულია და ამ უზნეობას ყურადღება არ უნდა მიექცეს. უსწავლელი ვაჟიკაცი სიბერეში გაწბილდებაო. სამწუხაროდ, თქვენი სიბერე გაწბილებულია, ისევე, როგორც პოლიტიკური საქმიანობა, ყველაფერი ის, რაც შეიძლება ემყარებოდეს პატიოსნებასა და ზნეობას. თქვენ ხართ უდიდესი უმცირესობა და, თქვენნაირი ადამიანების მიუხედავად, ქვეყანა შენებასა და განვითარებას გააგრძელებს, – ასე მიმართა აღშფოთებულმა წიკლაურმა „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრებს.

წიკლაურის ემოციურმა გამოსვლამ ფრაქციის წევრებში კორუფციასთან ბრძოლის ძლიერი სურვილი ვერ ჩაკლა. დეპუტატმა პეტრე მამრაძემ კოლეგა ნაციონალებს ელიტურ კორუფციასთან დაკავშირებითYპატარა ლექციაც ჩაუტარა.

მისი თქმით, „ვარდების რევოლუციამდე“ ტელევიზიით გავრცელდა მიხეილ სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას მდიდრული ვილების ამსახველი მასალა, რომელთაგან ერთი სააკაშვილს ეკუთვნოდა.

მამრაძემ გაიხსენა, რომ მაშინ ჩვეულებრივი, რიგითი საჯარო მოხელე იყო, მაგრამ გუნდის შიგნით მაინც ატეხა განგაში, თუმცა, მათგან მიიღო პასუხი, რომ მიხეილ სააკაშვილს ამის თქმას ვერ გაუბედავდნენ.

მოგვიანებით, მამრაძის თქმით, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ალასანიამ ეს ვილები დაანგრია, რაც იმის საწინდარი უნდა ყოფილიყო, რომ სააკაშვილის რეჟიმი ელიტურ კორუფციას გამიჯვნოდა და ახალი ერა დაწყებულიყო.

– მიხეილ სააკაშვილი მაშინ სპეციალური კომისიის შექმნის ინიციატივითაც გამოვიდა, რომლის სათავეში სოზარ სუბარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს კომისიაც აღარ შეიქმნა. კორუფცია არ არის მხოლოდ ის, რომ მაღალი რანგის მოხელეები მხოლოდ მდიდრდებიან, არამედ კორუფციაა ადამიანების ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო მოქმედება მათი პირადი ინტერესების დასაცავად. ის, რომ წვრილი კორუფცია აღარ არის ქვეყანაში, არ ნიშნავს იმას, რომ ელიტური კორუფციაც მოისპო, რადგან ავტორიტარული რეჟიმები სწორედ პოლიტიკური და ეკონომიკური მონოპოლიების შექმნით გამოირჩევა, – განაცხადა მამრაძემ.

მისივე თქმით, ელიტური კორუფციის შედეგია ისიც, რომ მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები ღიად აცხადებენ საქართველოში უდანაშაულობის პრეზუმფციის არარსებობაზე და იმაზეც, რომ ადამიანები მზად არიან, ყველაფერი დაიბრალონ, რათა მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევა შეძლონ.

კორუფცია ერთადერთი თემა არ ყოფილა, რაზეც გუშინ პოზიცია-ოპოზიცია დავობდა. ხმაური კი ისევ ჯონდი ბაღათურიას განცხადებამ გამოიწვია. ამჯერად მისი სამიზნე პავლე კუბლაშვილი აღმოჩნდა.

კერძოდ, ბაღათურია მიიჩნევს, რომ პოლიტიკური პარტიების რეკლამების დაფინანსებასთან დაკავშირებით კანონში შესატანი ცვლილება მის წინააღმდეგ არის მიმართული.

როგორც მან პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის განხილვისას განაცხადა, მმართველ გუნდს „ქართული დასის“ ეშინია და მას პრეზიდენტის მითითებით აფერხებენ.

– ვემზადებით საპარლამენტო არჩევნებისთვის და რეკლამების დაფინანსება წინა საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით უნდა ხდებოდეს. სამარცხვინოა, როცა ჭირვეული ბავშვებივით იქცევით და იღებთ გადაწყვეტილებას, რომ დაფინანსება თურმე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების მიხედვით უნდა ხდებოდეს. ეს იმიტომ ხდება, რომ „ქართული დასის“ რეკლამები არ დაფინანსდეს. ბოლო დროს ძალიან არ მომწონხართ, მაგრამ მაინც არა მგონია, ეს თქვენ მოგეფიქრებინათ. უბრალოდ, პრეზიდენტი გამებუტა და იმან გითხრა, რომ ჩემი რეკლამის დაფინანსება ბიუჯეტიდან არ მომხდარიყო, – მიმართა ბაღათურიამ კანონპროექტზე მომხსენებელს, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილს.

ბაღათურიას თქმით, ეს არის კორუფციის ერთ-ერთი მაგალითი, როდესაც ხელისუფლება ცდილობს, მისდამი ლოიალურად განწყობილი „ქრისტიან-დემოკრატები“ ორმაგად დააფინანსოს.

დეპუტატმა არასამთავრობო სექტორს მოუწოდა, ამ საკითხზე ყურადღება მეტად გაამახვილონ.

კოლეგის განრისხება უპასუხოდ არ დაუტოვებია კუბლაშვილს, მით უმეტეს, რომ ბაღათურიას რისხვა სწორედ მისკენ იყო მიმართული.

პავლე კუბლაშვილის მტკიცებით, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში ახალი ჩანაწერის მიხედვით, უფასო საეთერო დროის აქამდე არსებული უფლება არც ერთ პარტიას არ ჩამოერთმევა.

– არსებული ნორმის შეცვლა კი არა, ახალი ნორმა შემოდის, - განაცხადა პავლე კუბლაშვილმა.

მისი თქმით, ერთ-ერთი პარტია, რომელიც, ახალი რეგულაციის მიხედვით, უფასო საეთერო დროს გამოიყენებს, „თავისუფალი დემოკრატები“ იქნება.

# პარლამენტი აფხაზეთში ისტორიული ძეგლების რესტავრაციას“ აპროტესტებს

თეა მარხვაიძე

უკვე კარგა ხანია, რაც პარლამენტში აზიზიეს მეჩეთის ფანკლუბია შექმნილი, რომელშიც მმართველი გუნდია გაწევრიანებული. ნაციონალები ისეთი თავგამოდებით იცავენ ამ მეჩეთის აღდგენის იდეას, რომ სხვა ყველაფერი დაავიწყდათ. საუბარია ისტორიულ ძეგლებზე, თორემ, მიშა რომ მაგარია, ეს ჯერ კიდევ ახსოვთ.

ისტორიული ძეგლები ჩვენში სავალალო დღეშია. საუბარია იმ ძეგლებზე, რომლებიც ჯერ ისევ საქართველოს ტერიტორიაზეა. კვირა არ გავა, საქართველოს რომელიმე რეგიონში ისტორიული ძეგლი არ ჩამოინგრეს.

ამის თავიდან ასაცილებლად ხელისუფლება არაფერს აკეთებს. რაღაცას როგორ არ აკეთებს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ისე, ურიგო არ იქნებოდა, თუ აზიზიეს თავგამოდებას ქართული ძეგლების გადარჩენისკენაც მიმართავენ.

ალბათ, არავის გაუკვირდება ქართული ძეგლების სავალალო მდგომარეობა აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამ ძეგლებს ქართველები უკვე 20 წელია ველარ ვპატრონობთ. არადა, აფხაზეთში ბევრი რამე დაგვრჩა. ახლა მათ სხვა პატრონი ჰყავთ. აფხაზების გარდა, მათ „საპატრონოდ“ თავი რუსებმაც გამოიდეს.

ამ „პატრონაჟის“ ფარგლებში, კაცმა არ იცის, რამდენ ქართულ ძეგლს შეეცვალა იერ-სახე. ალბათ, ყველას გახსოვთ, ილორის წმინდა გიორგის იერსახის შეცვლას რა ამბები მოჰყვა. ამასთან დაკავშირებით ქართულმა მხარემ საერთაშორისო თანამეგობრობასაც მიმართა. საქმეში რუსეთის საპატრიარქოც ჩაერთო, საიდანაც დაგვიბარეს, ჩვენ აზრზე არა ვართ და ამ საკითხს აუცილებლად შევისწავლითო.



რუსული მხარის ნდობა რომ არ შეიძლება, ეს ჩვენში ყველამ კარგად იცის. ამის მიუხედავად, გაჩნდა იმედი, რომ შეიძლება მართლაც არ ყოფილიყო რუსეთის საპატრიარქო საქმის კურსში.

ამ ამბიდან მოკლე ხანში გაირკვა, რომ აფხაზები ბედიის მონასტერსაც უტარებდნენ რესტავრაციას. გაირკვა ისიც, რომ ბაგრატ III-ის ფრესკა დაზიანებული იყო. პროტესტი ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ გამოთქვა და კიდევ ერთხელ მიმართა დასახმარებლად საერთაშორისო თანამეგობრობას.

აფხაზებმა, როგორც ყოველთვის, თბილისის შეშფოთება არაფრად ჩააგდეს. ცოტა ხნის წინ კი ამ საკითხთან დაკავშირებით აფხაზთა ლიდერმა ალექსანდრ ანქვაბმა ახალი გადაწყვეტილება მიიღო. მან სოხუმში საგანგებო თათბირი გამართა, სადაც უძველესი არქიტექტურული ძეგლების რესტავრაციის გადაწყვეტილება მიიღო.

.აფხაზთა პრეზიდენტმა კულტურისა და ძეგლთა დაცვის უწყების ხელმძღვანელ ანზორ აგუმაევს უბრძანა, დაეთქვა რაც შეიძლება მცირე ვადები ბედიის, მოსკოვისა და სხვა ეკლესია-მონასტრების სარესტავრაციოდ.

შეხვედრას კულტურისა და ძეგლთა დაცვის უწყების ხელმძღვანელი ანზორ აგუმაევი და მხატვარი ალექსანდრ ივანენკო ესწრებოდნენ.

ანქვაბის ბრძანებით, უძველესი კულტურული ძეგლების რესტავრაციას სწორედ ეს კომპანია ჩაატარებს. სარემონტო სამუშაოებს უშუალოდ აფხაზეთის კულტურისა და ძეგლთა დაცვის უწყება უხელმძღვანელებს.

უკრაინული ფირმა უკვე ასრულებს აფხაზეთის დრამატული თეატრისა და რუსეთის დრამატული თეატრის რესტავრირებას.

– სარემონტო სამუშაოები უნდა იყოს ისეთი ხარისხის, რომ დიდხანს გაძლოს, – აღნიშნა ალექსანდრ ანქვაბმა შეხვედრაზე.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტო ანქვაბის განცხადებით შეშფოთებულია. სააგენტოს ხელმძღვანელმა ნიკა ვაჩეიშვილმა განაცხადა, რომ ეს ტაძრები კულტურულ ძეგლად აღიარებული ნაგებობებია და მათზე ჩატარებული ყველანაირი სამუშაო ქართულ მხარესთან შეთანხმებული უნდა იყოს. მისივე თქმით, სამუშაოების მიზანი სიძველეთა განადგურებაა. ქართული მხარე საკითხის საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე დაყენებას აპირებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში აცხადებენ, რომ კრემლი ყველანაირად ცდილობს აფხაზეთში ქართული კვალის წაშლას. საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავამ განაცხადა, რომ ქართულმა მხარემ ეს საკითხი რეაგირების გარეშე არ უნდა დატოვოს. მისივე თქმით, ტაძრები იუნესკოს სიაში შეტანილია, როგორც ქართული კულტურის ძეგლები.

საკითხი საქართველოს პარლამენტშიც დადგა. პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის განცხადებით, თუ მართლა ქართული ისტორიული ძეგლების აღდგენაზეა საუბარი, ქართული მხარე ამას ემხრობა და სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად მზად არის, თუმცა, ბაქრაძე ეჭვობს, რომ სინამდვილეში ისტორიის წაშლისა და შეცვლის მცდელობაა, რაც დანაშაულია. ქართული მხარე ოკუპირებულ აფხაზეთში ქართული კულტურის ძეგლების სარესტავრაციო საქმიანობაში ჩართვისთვის სრულ მზადყოფნას გამოთქვამს.

ცოტა ხნის წინ გავრცელდა ასევე ინფორმაცია, რომ იუნესკო რუსეთის ხელისუფლებას ქართული კულტურის ძეგლების შესასწავლად აფხაზეთში შეშვებას სთხოვდა. ბედიისა და ილორის ტაძრების კადრები პარიზში პირდაპირ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკა რურუამ ჩაიტანა. ცნობისათვის, აფხაზეთში 100-მდე ქართული ტაძარია.

აფხაზეთში, ისტორიული ძეგლების განზრახ დაზიანებასთან დაკავშირებით, 30 მარტის პლენარულ სხდომაზე განცხადება მიიღო.

პარლამენტის მიერ შემუშავებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ქართული მხარე ღრმა შეშფოთებას გამოხატავს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში - მოქვის, ბედიისა და სხვა ქართულ ტაძრებზე მიმდინარე უკანონო სამუშაოებთან დაკავშირებით.

– აღნიშნული სამუშაოების გამო შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ზიანდება. მსგავსმა „რესტავრაციამ“ უკვე გამოიწვია ქართული კულტურული მემკვიდრეობის თვალსაჩინო ძეგლის, ილორის წმიდა გიორგის მონასტრის დაზიანება და მასზე ქართული კვალის წაშლა. ქართული მხარე საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდებს, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმსა და აფხაზეთის მარიონეტულ მმართველობას კატეგორიულად მოსთხოვოს, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მიმდინარე უკანონო სამუშაოები შეწყდეს და რეგიონში იუნესკოსა და სხვა კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტები დაუშვან, – აღნიშნულია განცხადებაში.

კარგია, რომ პარლამენტმა ქართული ძეგლებისთვისაც მოიცალა, თორემ რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მათ მხოლოდ აზიზიეს მეჩეთი ადარდებდათ.

# ნინო ბურჯანაძე: „ჩემი ოჯახის კორუმპირებულობას ვერავინ დაამტკიცებს!“

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ დემოკრატიული მოძრაობისა და სახალხო კრების ლიდერ ნინო ბურჯანაძესთან

***— ეკა ბესელია, რომელიც კოალიციის წევრია, დღიდან მისი დაარსებისა, არ ემხრობა თქვენს გარიყვას კოალიციიდან. თქვენი ყოფნა ან არყოფნა ამ კოალიციაში თქვენს პოლიტიკურ ორგანიზაციაზე როგორ იმოქმედებს?***

— როცა ქალბატონი ეკა მინუსებზე საუბრობს, ის, ალბათ, აქცენტს აკეთებს ერთიანი ოპოზიციური ფრონტიდან ვინმეს გამორიცხვაზე და არა კოალიციაში წევრობაზე, იმიტომ რომ კოალიციაში ჩემი პარტიის წევრობა არ განიხილება არა ივანიშვილის მხრიდან, არამედ, უპირველესად ყოვლისა, ჩვენი მხრიდან. უკაცრავად, მაგრამ, როცა გვეუბნებოდნენ, არ გიღებთ კოალიციაშიო, ჩვენთვის არ უკითხავთ, კოალიციაში შესვლას ვაპირებდით თუ არა. თუ გახსენდებათ რომელიმე განცხადება ან ინტერვიუ სახალხო კრების ან ჩვენი პარტიისა, სადაც მინიშნება მაინც არის იმაზე, კოალიციაში მიგვიღეთო. სხვა პარტიები როგორ არ ეხვეწებოდნენ, ბრიფინგები ჩაატარეს და ტელეფონები გამოაცხადეს, დაგვირეკეთ და მიგვიღეთო, ზოგთან უფრო დიდხანს გაგრძელდა მოლაპარაკება, ზოგთან — ნაკლებად, იყო ვაჭრობა, ვინ უნდა შესულიყო პარტიით და ვინ უნდა შესულიყო უპარტიოდ, ზოგმა პარტია დაშალა, ზოგი პარტიის თავმჯდომარეობიდან გადადგა. ჩვენი მხრიდან თავიდანვე იყო ნათქვამი, რომ არანაირ კოალიციაში შესვლას არ ვაპირებთ, ჩვენი პარტია უკვე არის ერთ ძალიან დიდ კოალიციაში შესული. თუ მაინცდამაინც სიტყვა „კოალიცია“ უნდა ვთქვათ, ეს არის სახალხო კრება. ჩვენ არ ვაპირებთ სახალხო კრების დატოვებას. არათუ დატოვებას, არამედ უფრო გაძლიერებას ვაპირებთ, ერთობლივ ბრძოლას ვაგრძელებთ ის ადამიანები, რომლებიც ვართ სახალხო კრების რიგებში. სახალხო კრება ვერავის შეუერთდება, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ცალკეულ ოპოზიციურ პარტიებს ავიწყდებათ, წელან 25 ნოემბერი ვახსენე, სახალხო კრება ამ დღეს როცა დაფუძნდა, თორმეტი ათასი დელეგატი იღებდა ამ დაფუძნებაში მონაწილეობას. ამ თორმეტი ათასი დელეგატის უკან 850 ათასი ადამიანის ხელმოწერა იყო. ხელისუფლებამ კრების დოკუმენტაციის აბსოლუტური უმრავლესობა გაანადგურა, ჩვენი კრების ოფისი დალუქული იყო. ეს იცის კარგად ქალბატონმა ეკა ბესელიამაც, რომელიც ძალიან აქტიურად მუშაობდა კრებაში გარკვეული დროის განმავლობაში და პოზიტიური წვლილი ჰქონდა შეტანილი კრების მუშაობაში. ეს კარგად იცის ეროვნულმა ფორუმმაც, რომელიც ასევე მონაწილე იყო 25 ნოემბერს კრების დაფუძნებისა. ვერ ნახავთ ვერც ეკა ბესელიას, ვერც ფორუმის მხრიდან კრების მიმართ ნეგატიურ გამონათქვამებს, იმიტომ რომ რეალურად იციან კრების ძალა და ისიც იციან, კრება საზოგადოების რაოდენ დიდი ნაწილის აზრს წარმოადგენს. ამიტომ აქ არ არის საუბარი კოალიციაში შესვლაზე. იქ არიან ადამიანები, რომლებსაც ეშინიათ, რომ თუ ბურჯანაძე და კრება იქნებიან იმ ერთობაში, რასაც ერთიანი ეროვნული ფრონტი ჰქვია, მაშინ მათი ადგილი გადაინაცვლებს შორს ჩრდილში. მათ ეშინიათ, რომ იქნება პრობლემები საპარლამენტო ადგილებზე. არ ვიცი, ანაზღაურების დაკარგვის ეშინიათ თუ არა, ნუ წუხან ამაზე, ჩვენ არც საპარლამენტო ადგილებისთვის ვიბრძვით, მით უმეტეს, არც ხელფასებისთვის. ჩვენ ვიბრძვით ერთადერთი რამისთვის, რომ გაკეთდეს დიდი ერთობა, რომელშიც „ქართული ოცნება“, „სახალხო კრება“, სხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები გაერთიანდებიან და შექმნიან ერთიან ფრონტს. ოპოზიციის მონოპოლიზების მცდელობა იქნება ძალიან ცუდი, თქვენ გახსოვთ, რა მოიტანა ხელისუფლების მონოპოლიზებამ, როცა ნაციონალურმა მოძრაობამ მოახდინა იგი. ამის ნიშნები გამოჩნდა ვარდების რევოლუციისთანავე, როდესაც, სამწუხაროდ, ჩემი თანხმობის გარეშე ბატონმა ზურაბ ჟვანიამ დაუშვა დიდი შეცდომა. ის ნამდვილად ძალიან დიდი პოლიტიკოსი იყო, მაგრამ ეს იყო უდიდესი პოლიტიკური შეცდომა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მის ტრაგიკულ გარდაცვალებაში, როდესაც ჟვანიამ გააუქმა თავისი პარტია „გაერთიანებული დემოკრატები“ და შეუერთა ის ნაციონალურ მოძრაობას. კატეგორიულად მიუღებელია, რომ ახლა იგივე გაკეთდეს ოპოზიციის მხრიდან. ამის ნიშნები უკვე ჩანს, როცა ოპოზიციის ნაწილი ცდილობს, მონოპოლიზება გაუკეთოს ოპოზიციურ სპექტრს, ზოგი პარტია გადაყლაპოს, ზოგი დაშალოს და დანარჩენი კი უნდა გაიკრიფოს. რომელ სახელმძღვანელოში წერია ეს, სადაც დემოკრატიის ელემენტარულ პრინციპებზეა ლაპარაკი. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ დღეს არა მარტო ხელისუფლების დემონტაჟზე ვიზრუნოთ, არამედ მომავალი ხელისუფლება იყოს მრავალხმოვანი, დაბალანსებული და გამოირიცხოს რაიმე ტიპის მონოპოლიზების შესაძლებლობები.

***— ლევან ბერძენიშვილმა გაამხილა ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც არ სურთ კოალიციაში ბურჯანაძის ხილვა, ბურჯანაძე, მისი აზრით, ემხრობა რევოლუციის გზას და არა არჩევნებს. არის თუ არა ეს სწორად გაგებული მათი მხრიდან და რატომ სურს ოპოზიციის ნაწილს თქვენი პერსონის მარგინალიზაცია?***

— რაც ბრძანეთ, თქვენი კითხვის ბოლოს ეს, ფაქტობრივად, პასუხიც არის. რატომ სურს ხელისუფლებას ბურჯანაძის მარგინალიზაცია, გასაგებია, იმიტომ, რომ მისი ეშინია, მაგრამ, თუ რატომ სურს ოპოზიციას ჩემი მარგინალიზაცია, წესით, ეს ადამიანისთვის გაუგებარია. ტყუილია, რომ ბურჯანაძესა და სახალხო კრებას მხოლოდ რევოლუციის გზით უნდათ ხელისუფლების შეცვლა. შეგახსენებთ, ჩვენს დოკუმენტებს, დაწყებული 2010 წლის 29 სექტემბრიდან, როდესაც პირველად ჩამოვაყალიბეთ კრების ამოცანები, სადაც პირდაპირ ეწერა, რომ აუცილებელია მივაღწიოთ რეალურად დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, მაგრამ ამ მიზნით აუცილებელია ხუთი მთავარი კომპონენტი, საარჩევნო კოდექსის გარეშე. ეს არის: თავისუფალი მედია, თავისუფალი ბიზნესი, თავისუფალი სასამართლო, დამოუკიდებელი ცენტრალური საარჩევნო კომისია და არაპოლიტიკური პოლიცია. ამას ხელისუფლება არ დათმობს, ამიტომ, იძულებული ვართ, მივმართოთ ქუჩის აქციებს, რათა ვაიძულოთ ხელისუფლება, დათმოს ის მნიშვნელოვანი ბერკეტები, რომლებიც არჩევნებს გახდის მართლაც თავისუფალსა და დემოკრატიულს. რა რა და ბერძენიშვილების ინტელექტში ეჭვი ნამდვილად არ მეპარება, კარგად შეუძლიათ იმის გაგება, რაც ესმით და კარგად შეუძლიათ იმის აღქმა, რასაც კითხულობენ, მაგრამ, როცა ჟიუტად იმეორებენ იმას, რასაც ხელისუფლება გვაბრალებდა, ჩვენ რომ მაინცდამაინც ქუჩის აქციებით გვინდა შეცვლა, უკაცრავად, სად უწერია ან ბურჯანაძეს, ან კრებას, სად მოისმინეს, რომ რევოლუციით უნდა მოვიდეთ ხელისუფლებაში. როცა ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, პირველივე კვირას მივესალმე მის გამოჩენას და ვთქვი, რომ ახლა გაჩნდა შანსი, ქვეყანაში არჩევნებით შეიცვალოს ხელისუფლება. ერთ-ერთი სერიოზული კომპონენტი გაჩნდა ოპოზიციის მხარეს, ფინანსური რესურსი, შეიძლება, თავისუფალი ტელევიზია გაკეთდეს. ამ ორი კომპონენტით უკვე შესაძლებელი იყო, ხელისუფლებას შესჭიდებოდი. არა მგონია, ეს ბერძენიშვილებს წაკითხული არ ჰქონდეთ. ქუჩის აქციებსა და რიტორიკას რაც შეეხება, ბერძენიშვილების ლიდერმა ბრძანა, ყბაში მოხვდება ხელისუფლებასო. მე ამის მსგავსი არაფერი მითქვამს. რომ ვკითხულობ „ქართული ოცნების“ განცხადებებს, ასე



მგონია, ჩემი განცხადებები აქვთ კოპირებული. ვამბობდი დიპკორპუსთანაც, თუ არ აიძულებთ ხელისუფლებას, რომ ქვეყანაში რეალობა შეცვალოს, საქმე მივა მაშინ ეგვიპტემდე-მეთქი. მაშინ ეგვიპტის კრიზისი იყო აქტუალური. ვინმემ ამიხსნას ახლა, რატომ არის ბურჯანაძის ნათქვამი მარგინალური, ანტიდასავლური, არასწორი და მოღალატეობრივი და იგივე სიტყვები ე.წ. კონსტრუქციული პოლიტიკოსებისა და ე.წ. დასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსებისთვის — მისაღები. ეს ყველაფერი ხელოვნურია. ბიძინა ივანიშვილის მიმართ დიდი მოლოდინებია, მაგრამ მის ირგვლივ მყოფი ადამიანების არგუმენტები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

***— ბურჯანაძის საგარეო პოლიტიკური ვექტორი არ ემთხვევა ივანიშვილის საგარეო ვექტორს, იდეოლოგიაშია დიდი სხვაობაო, ამბობს ბერძენიშვილი. ამავე დროს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ გოგი თოფაძე, რომელსაც ეკუთვნის სიტყვები, „ნატოში სწრაფვამ დაღუპა ქვეყანა“, კოალიციაში გაწევრიანდა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ ყველაფრის შემდეგ, უბრალოდ, თქვენი პიროვნული ფაქტორი მოქმედებს ვინმეზე და იმიტომ არ ხართ მისაღები ივანიშვილისთვის?***

— პიროვნული ფაქტორი რომ იყოს, რაღაცა პირადი ურთიერთობები უნდა არსებობდეს. მე არასოდეს შევხვედრივარ ბატონ ბიძინას. კოალიციის წევრებს რაც შეეხება, კარგად მესმის მათი. ბატონი გოგი თოფაძის მიმართ მინდა ვთქვა სადაც უნდა იყოს ბატონი გოგი, მინდა, პიროვნული პატივისცემა დავუდასტურო, 2009 წელს, მერეც, მიუხედავად სერიოზული პრობლემებისა, ბატონი გოგი, ბატონი ზურაბ ტყემალაძე აქტიურად მონაწილეობდნენ აქციებში და ის ადამიანები, რომლებსაც უფრო მეტად ევალებოდათ ბურჯანაძესთან დაკავშირებით თუნდაც ადამიანურად პოზიტიური სიტყვების თქმა, არ ამბობდნენ ამას. გოგი თოფაძეს არ შეეშინდა ეთქვა, რომ გვაქვს მართლაც კარგი ადამიანური ურთიერთობები. ის თვლის, რომ ჩემი პოტენციალი ყველა შემთხვევაში ქვეყნის სასიკეთოდ უნდა იყოს გამოყენებული. ეს მას, როგორც პიროვნებას, დადებითად ახასიათებს და ამისთვის კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი. ზოგი ჩემი ყოფილი თანაგუნდელი ამბობს, არასოდეს ვყოფილვარ ამ გუნდშიო და ზოგი თავისი გუნდის სახელს ვერ იხსენებს. ამ ფონზე კიდევ უფრო დასაფასებელია ბატონი გოგის ეს პოზიცია. სამწუხაროდ, ერთ კოალიციაში არასოდეს ვყოფილვართ. ვუსურვებ მას წარმატებას. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ვიცი, რომ ბატონმა ბერძენიშვილმა წერა-კითხვა ნამდვილად კარგად იცის, სად ნახა, რომ შეხედულებები და მოსაზრებები „ქართული ოცნებისა“ და ჩვენი დასავლურ ფასეულობებთან მიმართებით განსხვავდება ერთმანეთისგან? მეტიც, „ქართული ოცნების“ საპროგრამო დოკუმენტებში ბევრი რამ პირდაპირ არის გადაღებული სახალხო კრებისა და დემოკრატიული მოძრაობის პროგრამებიდან. ოდნავ არის შეცვლილი ფრაზეოლოგია, კიდევ კარგი, ჩვენი ორგანიზაცია უფრო ადრეა შექმნილი, ვიდრე „ქართული ოცნება“. მაგრამ არის ფასეულობები, რომელშიც ნამდვილად განვსხვავდებით ერთმანეთისაგან, დიახ, ჩვენ, „ქართული ოცნების“ ლიდერებისგან განსხვავებით, ვთვლით, რომ ქართული არჩევნების ბედი ამერიკაში არ უნდა წყდებოდეს, დიახ, არც რუსეთში არ უნდა წყდებოდეს. საქართველოში უნდა წყდებოდეს. არ ვთვლი, რომ აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობა უნდა აღიაროს საქართველოს რომელიმე ხელისუფლებამ. ჩვენსა და ივანიშვილის კოალიციის სუბიექტ ზოგიერთ პარტიას შორის ესეც არის განმასხვავებელი ნიშანი. არ ვთვლი, რომ ნატოს გამო უარი უნდა ვთქვათ საქართველოს ტერიტორიებზე, რომ აზიზიეს მეჩეთი უნდა აშენდეს ბათუმში, რადგან ეს არ შედის საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებში. არც ერთი მეჩეთი რომ არ იყოს, მაშინ მეჩეთი უნდა აშენდეს და ჩვენს მუსლიმან თანამემამულეებს უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ ილოცონ. მაგრამ, როცა სამასი მეჩეთია საქართველოში, ბათუმის ცენტრში აზიზიეს მეჩეთის აშენება კატეგორიულად მიუღებელია. არც იმას ვთვლი, რომ მინისტრები საჩვენებლად უნდა დაიჭირო. ამან რაც მოუტანა საქართველოს, კარგად ვიცი. პოლიციელი რომ ქრთამს არ იღებს, კარგია, მაგრამ პოლიტპატიმარი რომ იმის გამო ზის ციხეში, რადგან პოლიციელმა ცრუ ჩვენება მისცა, ეს ცუდია. არ ვთვლი, რომ დამნაშავე ხელისუფლების ჩანაცვლება უნდა მოხდეს, არც განათლების რეფორმა მომწონს. ახალგაზრდებმა არ იციან, კობა ხაბაზმა დაარსა თბილისი თუ ვახტანგ გორგასალმა. არც იმას ვთვლი სწორად, დახურული შეხვედრებიდან გამოაქვეყნო მხოლოდ ნაწილი და მერე თქვა, მე რაც მაწყობდა, ის გამოვაქვეყნეო. არის ბევრი საკითხი, რომლის მიხედვითაც კოალიციის ზოგიერთი წევრი გაცილებით ახლოს არის ნაცმოძრაობასთან. ჩვენ ვართ პროქართული ძალა და არა პროამერიკული და პროდასავლური.

***— თქვენი ოჯახის კორუმპირებულობაზე წერდნენ, მამის, მეუღლისა და მაზლის ბიზნესზე. არ გქონდათ, სურვილი გეჩივლათ და პასუხი მოგეთხოვათ მათთვის, ვინც ამ ბრალდებებს გიყენებდათ?***

— ყველა ბრალდება კორუფციასთან დაკავშირებით თითიდან არის გამოწოვილი. ეს მთელი საქართველოსთვის ნათელი გახდა. სააკაშვილს რომ რამე ჰქონდეს ჩემი მეუღლის, მამაჩემის, მაზლის შესახებ, არ ვიცი, სიმართლე გითხრათ, რა დაიწერა. ჩემი მაზლი ოთახ-ნახევრიან ბინაში ცხოვრობს „გუდვილთან“, დიღომში. მქონია სურვილი, მეპასუხა ამ ბრალდებებზე, მაგრამ ჩემი შეცდომა, ალბათ, ის იყო, რომ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ვიცოდი, ეს იყო შეკვეთილი სტატიები, რომლებიც მოდიოდა ხელისუფლებაში ე.წ. ჩემი თანაგუნდელების მხრიდან, არასოდეს ვამახვილებდი ამაზე ყურადღებას, ვთვლიდი, რომ ხალხი ისედაც დაინახავს ყველაფერს და მიხვდება, ამიტომ ამაზე მაღლა ვიდექი. თუმცა, ეს შეცდომა იყო, იმიტომ რომ ეს შავი პიარი საზოგადოებაზე მოქმედებს. „ალიაში“ დაიბეჭდა მამაჩემზე ბრალდებითი ხასიათის წერილები. მამამ მიაწოდა მათ ყველა დოკუმენტი, რაც არსებობდა მისი მუშაობის პერიოდში, მერე დაიწერა საინტერესო გამოძიება, სადაც ყველა ბრალდება თავად გაზეთის მხრიდანვე იყო უარყოფილი. არ არსებობს არც ერთი დოკუმენტი, არც ერთი ფაქტი ჩემი და ჩემი ოჯახის კორუმპირებულობის შესახებ. გახსოვთ, რამდენი ლაპარაკი იყო ბურჯანაძის ე.წ. კლანზე? ჟურნალისტებს ვთხოვე, იქნებ დამისახელოთ, ბურჯანაძის კლანში ვინ შედის-მეთქი. ბევრს სისულელედ მიაჩნია, რომ ბურჯანაძე რვა წელი იყო პარლამენტის თავმჯდომარე და თავისი კლანი არ შექმნა. მაგრამ მე არ ვთვლი, რომ ეს სისულელეა. ის ხალხი, ვინც ბურჯანაძის სიით უნდა მოხვედრილიყვნენ პარლამენტში, ჩემი ერთგულების ნიშნით არ შემირჩევია. იმ ფონზე, როცა ნახევარმა პარლამენტმა წერა-კითხვა არ იცოდა, ამ ადამიანებმა არათუ ეს იცოდნენ, კარგადაც შეეძლოთ უცხოელ სტუმრებთან მოქცევა. როცა სინამდვილეში ვიცოდი, ვის რა კლანი აქვს, ვინ რას აკეთებს, მე რომ აბსურდები მბრალდებოდა, მტკივნეული იყო. თორმეტი სარჩელია სასამართლოში შეტანილი ცილისწამებაზე ჩემი და ჩემი პარტიის წევრების მიერ. არც ერთი სარჩელი განხილული არ არის.

***— არის ასეთი მოსაზრება, რომ სააკაშვილმა იყიდა ბურჯანაძის დუმილი ერთ ლარად, როცა თქვენ წყნეთის აგარაკი გადმოგეცათ.***

— მერე, სად არის ეს ბურჯანაძის დუმილი? ეს იყო ისტორია, რომელიც კანონის ჩარჩოებში იყო და იმ ტრადიციის ჩარჩოებში, რომელიც არსებობდა ქვეყანაში. ერთადერთს, ედუარდ შევარდნაძეს ეყო ვაჟკაცობა და თქვა, მე ზუსტად ამ წესით გადმოცემულ სახლში ვცხოვრობ, მაგრამ მე არ მედავებიან, იმიტომ, რომ ჩემი არ ეშინიათო. ასეთივე სახლებში ცხოვრობენ საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, მინისტრები და სხვა თანამდებობის პირები. არც ერთ მათგანს არ ეყო ვაჟკაცობა, ეთქვა, რომ ეს საქართველოში დაკანონებული პრაქტიკაა და აქ არაფერია უკანონო. მე არ ამიშენებია სახლი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, არ მიშოვია მილიონები ხელისუფლებაში ყოფნის დროს. თუ მიშოვია, დადონ დოკუმენტები. ეს იყო შეცდომა, იმიტომ, რომ ამ ხელისუფლების ხელში, რომელმაც უკადრებელი იკადრა, სჯობდა, ეს გადაწყვეტილება არ მიმეღო. ერთი რამ ფაქტია, რომ მე არ დამიმალავს ეს საზოგადოებაში. შემეძლო, გამეფორმებინა 80-წლიანი იჯარით, როგორც ეს აქვთ გაკეთებული მინისტრებს, მაგალითად, ბარამიძესა და სხვებს, შემეძლო, გამეფორმებინა სხვა ადამიანზე და საზოგადოებისთვის თვალში ნაცარი შემეყარა, მაგრამ ეს არ ვაკადრე საზოგადოებას. რამდენად იყიდება ბურჯანაძე, ნათლად გამოჩნდა. როგორც კი დადგა არჩევანი, მებრძოლა საქვეყნო საქმისთვის ან დამეტოვებინა ეს სახლი, მე ერთი წამითაც არ დამიხევია უკან. ბოლო წუთამდე იყო ხელისუფლებიდან შემოთავაზება, ისე რა გვებრძოლოსო და სასამართლოს გადაწყვეტილება არ შედგებაო. ჩვენ სახლი დავცალეთ მაშინ, როცა ჩემი მამამთილი იყო იმ დღეებში გარდაცვლილი. ერთი წამითაც არ შევყოვნებულვარ იმ სახლში, რათა დამატებით სალაპარაკო არ ჰქონოდა ხელისუფლებას. როცა სასწორზე იდება ქვეყნის ინტერესი და საკუთარი კომფორტი, მე ყოველთვის გადაწყვეტილებას ვიღებ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე და ვისაც უნდა, ეს სახლი დამაყვედროს, გაიხსენოს, შეეძლო თუ არა ბურჯანაძეს იმ სახლში მშვიდად ცხოვრება, თან პარლამენტის თავმჯდომარეობა შეენარჩუნებინა, ხმა არ ამოეღო ყველაფერზე, რაზეც ძალიან ბევრი ადამიანი სახლების გარეშეც გაჩუმებულია. მადლობას ვუხდი სააკაშვილს ნამდვილად იმისთვის, რომ ის სახლი წამართვა. მისდა უნებურად დამეხმარა, დამემტკიცებინა, რომ ბურჯანაძისთვის სახლზე, ქონებასა და თანამდებობაზე უფრო მნიშვნელოვანი სახელმწიფო და მისი ინტერესებია.

***— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნიკა გილაურს აქვს თვეში 50 ათასი ლარი და პრემია — 70 ათას ლარამდე, ასევე ეკა ზღულაძეს ჰქონია მაღალი ხელფასი და შესაბამისი პრემიები. როცა ვარდების რევოლუციის შემდეგ მოხვედით ხელისუფლებაში, გქონდათ საშუალება თქვენ, ზურაბ ჟვანიას, მიხეილ სააკაშვილს, ასეთი ხელფასები გქონოდათ?***

— მაშინ არ იყო ამხელა ხელფასები, მაქსიმალური ხელფასი, რომელსაც მე ვიღებდი პარლამენტის თავმჯდომარეობის დროს, იყო სამი ათას ხუთასი ლარი, პრემიები ჩემი თავისთვის არ გამომიწერია, განსხვავებით მთავრობის წარმომადგენლებისგან. პარლამენტის აპარატის თანამშრომლებს პრემიებს ვაძლევდით, მაგრამ ეს მიახლოებითაც ვერ მივა იმ ხელფასებთან, რომლებზეც ახლაა საუბარი. მაშინ ჩვენი ხელფასი საკმაოდ მაღალი იყო. გახსოვთ, მინიმალური ხელფასი ასი, ასორმოცდაათი ლარი იყო, მაშინვე გაკეთდა აქცენტი იმაზე, რომ თანამდებობის პირებს მაღალი ხელფასები ჰქონოდათ და ამისთვის შეიქმნა კიდეც სპეციალური ფონდი, რომელიც მეც კი მეგონა, რომ სოროსისა და უცხოელი ინვესტორების მხრიდან ფინანსდებოდა, აღმოჩნდა, რომ ბიძინა ივანიშვილის ფონდიდან იყო დაფინანსებული. ეს იყო სახელმწიფო ფონდი, რომელშიც შემოდიოდა კონკრეტული პირების — სოროსის, ივანიშვილისა და სხვების დაფინანსება. როცა სახელმწიფო მაღალი თანამდებობის პირს მრავალმილიონიან გარიგებებთან აქვს საქმე და ამ დროს წამლის ფული არ აქვს, ეს მას არასწორი გადაწყვეტილებებისკენ უბიძგებს და მოტივირებული უნდა იყოს, რომ არ ჰქონდეს ფულის აღების ცდუნება. აქაც ოქროს შუალედი უნდა იყოს დაცული და არ შეიძლება, პრემიერ-მინისტრის ხელფასი ათასჯერ აღემატებოდეს საშუალო ხელფასს.

# თამარ ჩხეიძე: ირაკლი ალასანიას სიტყვაზე ვერ ვენდობი

შორენა კოწოწაშვილი

## ინტერვიუ თამარ ჩხეიძესთან

***— ენდიაის კვლევების თანახმად, ნაცმოძრაობის ჯერ არდასახელებულ საპრეზიდენტო კანდიდატს უფრო მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე იგივე ივანიშვილის კოალიციას. ეს დამაჯერებელია?***

— რეალური სურათი როგორია, მე არ ვიცი. ამ შედეგების მიხედვით კი ვერ ვიმსჯელებთ. რეალურ სურათს ამ კვლევის შედეგები ვერ მოგვცემს.

***— რეალობიდან გამომდინარე რომ ვისაუბროთ, 10%-ის ფარგლებშია დღეს ივანიშვილის და მისი კოალიციის რეიტინგი. თქვენ როგორ ფიქრობთ?***

— ვერ გეტყვით. წარმოდგენა არ მაქვს,



მაგრამ არა მგონია, ასეთი დაბალი რეიტინგი ჰქონდეს. თუმცა ისეთი მაღალიც არ იქნება, როგორიც იყო ვთქვათ დასაწყისში, როდესაც ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა ასპარეზზე. მაშინ გაცილებით უფრო მაღალი რეიტინგი ჰქონდა. ამჟამად, რა თქმა უნდა, იმხელა რეიტინგი არ ექნება, როგორც მაშინ ჰქონდა. კონკრეტულად, ეს 10%-ის ფარგლებშია თუ 40%-ის, ნამდვილად არ ვიცი.

***— ამერიკული ორგანიზაციის კვლევები ამტკიცებს, რომ ნდობის კუთხით მოსახლეობის 68% ძალიან ენდობა კათოლიკოს-პატრიარქს. მის შემდგომ კი ნდობის კუთხით მეორე ადგილზე ვანო მერაბიშვილია. მას თურმე ძალიან ენდობა 12%, ენდობა — 48%. რაზეა გათვლილი ეს ციფრები და, საერთოდ, რატომ დააფიქსირეს პატრიარქის გვერდით მერაბიშვილი?***

— პატრიარქი ნამდვილად პირველ ადგილზე რომ იქნება ნდობის მხრივ, ეს უეჭველია. ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ეს ნამდვილად ასეა, რომ ყველაზე დიდი ნდობა დღეს ქართულ საზოგადოებაში ნამდვილად სრულიად დამსახურებულად აქვს პატრიარქს. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს, ნამდვილად არა მგონია, რომ ეს სწორი მონაცემი იყო.

***— თქვენი აზრით, რატომ მოხვდა ნდობის რეიტინგებში საერთოდ ვანო მერაბიშვილის გვარი?***

— ალბათ ეს უკავშირდება იმ გეგმებს ძალთა გადანაწილების, გარიგებების შესახებ, რაზეც მიდის საუბარი მედიის საშუალებით. არის ვარაუდები, რომ მიდის რაღაც გარიგებები, როგორ უნდა დალადგეს პარლამენტში ძალთა გადანაწილება და ა.შ. ალბათ ეს რეიტინგი ამაში მერაბიშვილის გარკვეულ როლსაც ასახავს.

***— ფიქრობთ, რომ საქართველოში ამერიკის მხრიდან მორიგი სახელისუფლო ცვლილების სცენარი გათამაშდება?***

— იცით რა არის, ასე ერთმნიშვნელოვნად მე არ ვიტყოდი, რომ ამერიკის მხრიდან როგორც არის, რატომღაც მიღებულია. მე რასაც ვხედავ, ძირითადი სცენარი საქართველოში, სამწუხაროდ, ვინც არიან სცენარის ავტორები, ჩვეულებრივ კრემლში ბინადრობენ. ამერიკელებთან ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, შეთანხმებულია ხოლმე და გარკვეულ როლს ისინიც თამაშობენ. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს, როგორც პოსტაბჭოთა პერიოდში, საქართველოში რაც ხდება, ძირითადად ხდება რუსული სცენარით და არ ჩანს, რომ ამჟამად ამ ძირითადი მოდელისგან ხდება გადახვევა. მე ვფიქრობ, რომ ახლა რაც მოხდება, ძირითადად იქნება შეთანხმებული ამერიკასთანაც, იმიტომ, რომ ამერიკული ფაქტორის უგულებელყოფა არ შეიძლება, მაგრამ სამწუხაროდ, უფრო მეტად იქნება რუსული სცენარი. იმიტომ, რომ რუსეთს ზოგადად გაცილებით მეტი ბერკეტი და უფრო მეტი ცოდნა აქვს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე და ამ პროცესების მართვის უფრო მეტ ბერკეტსაც ფლობენ, ვიდრე ამერიკა.

***— რუსულ სცენარში ჯდება იგივე ხელისუფლების მიერ იმ უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების შექმნა, რომლის შესახებაც ინფორმაცია ირაკლი ალასანიამ გაახმაურა?***

— მე ვიცი ის, რაც ირაკლი ალასანიამ განაცხადა, მაგრამ არ ვიცი, რა არის რეალური სურათი და რამდენად ასახავს რეალობას ის, რაც ალასანიამ განაცხადა. მე, უბრალოდ, ამის შესაფასებლად კომპეტენტური არ ვარ, რადგან ამ ინფორმაციას არ ვფლობ და ვერც სიტყვაზე ვერ ვენდობი ალასანიას და მისი წყაროს განცხადებას. თავისთავად გამორიცხული შეიძლება ეს არ იყოს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, თუ რა რეგიონს ეხება საქმე და სად მდებარეობს ეს რეგიონი, ირაკლი ალასანიას მეტი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა ასეთი განცხადების გაკეთებისას. იმიტომ, რომ ეს განცხადება მარტო შიდა საქმეებს არ ეხება. ეს რომ მარტო შინაგან საქმეებს ეხებოდეს, მაშინ ეს განცხადება გამართლებული იქნებოდა. იმიტომ, რომ პროფილაქტიკური მნიშვნელობა ექნებოდა. მაგრამ რამდენადაც აქ ჩარეულია რუს ოკუპანტთა ინტერესები მეზობელ რეგიონში ანუ აფხაზეთში, აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მეტი სიფრთხილეა საჭირო, რომ ეს მტერმა არ გამოიყენოს.

***— „ქართული ოცნების“ წევრები დარწმუნებული არიან, რომ ამ დაჯგუფებებს ხელისუფლება წინასაარჩევნოდ გამოიყენებს ვითარების ესკალაციისთვის, მოსახლეობის დაშინებისა და ვითარების არევისთვის.***

— არც ეგ არის გამორიცხული. ამ მიზანს ემსახურება აგრეთვე კონტროლის პალატის აბსოლუტურად წარმოუდგენელი აღვირახსნილობა. ხელისუფლების მოქმედებას სხვას ვერაფერს შევადარებთ, თუ არა წითელი ქხმელები რომ იყვნენ კამბოჯაში. ალბათ გაგიგონიათ, წითელი ქხმელები რომ იყვნენ კამბოჯაში და იქ აბსოლუტურად აღვირახსნილი დიქტატურა იყო და მოსახლეობას ასახლებდნენ ქალაქიდან სოფლებში; ლამის ნახევარი მოსახლეობა გაწყვიტეს. აი, ამ ტიპის მოქმედებებში შედის ის, რასაც ბოლო ხანებში კონტროლის პალატა აკეთებს. ამ ფონზე არაფერს არ გამოვრიცხავ, მაგრამ მე არა მაქვს ინფორმაცია და ამიტომ დანამდვილებით ევრაფერს გეტყვით.

***— ქალბატონო თამარ, პატრიარქმა ოქტომბრის არჩევნებს მძიმე უწოდა და ამ მძიმე არჩევნებში ელჩებს დახმარება სთხოვა. ეს არჩევნები ქვეყნისთვის გარკვეულწილად საფრთხის შემცველიც იქნება?***

— სამწუხაროდ. საფრთხის შემცველი, რა თქმა უნდა, იქმნება იმიტომ, რომ არსებობს საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვები იმის შესახებ, რომ ნაციონალური მოძრაობა და ივანიშვილის „ქართული ოცნება“ ერთმანეთს შორის გარიგდებიან ან უკვე არიან გარიგებული ძალთა გადანაწილებაზე. მიუხედავად ამისა, არიან თუ არა ისინი გარიგებული, მაინც იქნება მათ შორის ჭიდილი ხელისუფლების და გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის. ამდენად, მწვავე მოვლენები მაინც მოსალოდნელია. თუმცა, მე ვთვლი, რომ საკმაოდ საფუძვლიანია ის აზრი, რომ მიდის საუბარი მხოლოდ იმაზე, თუ ვის რამდენი ადგილი უნდა შეხვდეს პარლამენტში. გამოვრიცხავ, რომ ბიძინა ივანიშვილის ფუნქცია დავიდეს მხოლოდ იმაზე, რომ მან გარკვეული რაოდენობის რესპუბლიკელები შეიყვანოს საქართველოს პარლამენტში.

***— ქალბატონო თამარ, ბოლოს ვისაუბროთ „ქართულ ოცნებასთან“ მიმართებაში. კიდევ ეჭვებს იწვევს თქვენში ივანიშვილის ფლანგის ნაბიჯები. რა უნდა გამოკვეთოს ივანიშვილმა და რა არის მისი შეცდომა?***

— არ ვიცი, ამას რამდენად ეწოდება შეცდომა თუ გეგმაზომიერი მოვლენაა, ეს მე არ ვიცი, მაგრამ თავისთავად უარყოფით მოვლენად ჩავთვლიდი იმას, რომ თავიდანვე მან რაღაც კონფრონტაციული სტილი არჩია პოლიტიკურ ძალებთან მიმართებაში. პოლიტიკურ ძალებთან ურთიერთობა მან დაიწყო ასე მკაფიოდ დაყოფით. გაყო ორ ნაწილად და დაიწყო გარკვეულ ნაწილთან ძალიან მკვეთრი დაპირისპირება, მეორე ნაწილი ასევე სრულიად დაუსაბუთებლად გამოაცხადა მისაღებად და კარგ ძალებად, დანარჩენი — ხელისუფლებასთან შეკრულად. ეს სტილი კონფრონტაციული და, ცოტა არ იყოს, ავტორიტარულ-ტოტალიტარული, მე არ მომწონს. მაგრამ მთავარი მაინც ჩემთვის არის ის, რომ იქ არიან გარკვეული ძალები, ისეთები და თვითონ ივანიშვილსაც ზოგჯერ აქვს ისეთი გამონათქვამები, რომელიც მე მაფიქრებს აფხაზეთის საკითხზე მათი პოზიციის საიმედოობის შესახებ.

# კახა კუკავა: წიკლაურმა და ხერხეულიძემ გამსახურდიას უღალატეს



დასაწყისი მე-2 გვერდზე

20 წელია, რაც კოლხური კოშკი დაწვეს და დღემდე გაუბედურებულ მდგომარეობაში დარჩა. გუშინ კოლხურ კოშკში „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ პირადად მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით დარჩა კოლხური კოშკი გაუბედურებული.

— ეს შენობა არის იგივე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც წლების წინ იყო. აქ პირველად არ ვარ. ამ საკითხზე 5-6 წელია ვმუშაობ და შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის მიხეილ სააკაშვილის პირადი ბრძანება, რომ ეს კოშკი უნდა დარჩენილიყო ამ მდგომარეობაში.

მერიამ არაერთხელ გამოყო საკმაოდ სოლიდური თანხა კოშკის რეაბილიტაციისთვის, მაგრამ, როგორც კი სააკაშვილი გახდა პრეზიდენტი, მან გასცა ბრძანება, კოშკი იგივე მდგომარეობაში დარჩენილიყო. დღევანდელი კოლხური კოშკის ვითარება ძალიან ჰგავს დღევანდელი საქართველოს ვითარებას. გარეთ არის უსაზღვრო და ლობეებმორღვეული, როგორც საქართველო, ხოლო შიგნით — უწესრიგობა. ეს ძალიან კარგად ასახავს დღევანდელი საქართველოს მდგომარეობას. როცა „შანგრელა“ იხსნება დიდი ზარ-ზეიმით და თუ სადმე გარყვნილების ბუდეა, წითელი ლენტი სააკაშვილმა უნდა გაჭრას, არ მოინახა ამ ქვეყნის ბიუჯეტში თანხები კოლხური კოშკისთვის. არც მეცენატი გვყავს, რომ ასეთი სამარცხვინო ვითარება არ იყოს, — განაცხადა „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ, — ვერსად ნახავთ სხვა ქვეყანას, სადაც მსგავსი მდგომარეობაა. აფრიკაში კანიბალი რომ მძვინვარებდა და სახელმწიფო რომ შექმნეს 50 წლის წინ, დარწმუნებული ვარ, იქაც ექნებათ პირველი პრეზიდენტის სახლები, ბევრად უფრო სოლიდურად შენახული სახელმწიფოს მიერ, ვიდრე — საქართველოს პირველი პრეზიდენტის სახლია.

— ბატონო კახა, აქ ბევრჯერ ვყოფილვარ და ვიცი, რომ კოლხური კოშკი ადრე ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე დღეს არის. შიგნით მთელი კედლები ჩამოყრილია. ჭერი არ აქვს. თითქოს გამზადებულია გასაკეთებლად, მაგრამ წლები გადის და არ კეთდება. რატომ?

— აქ შარშან უფრო უარესი ვითარება იყო. აქ მაშინ მოვედი, როცა ცოტნე გირაოთი გაათავისუფლეს ცოტა ხნით. შენობას სახურავი არ ჰქონდა, აწვიმდა, ათოვდა, კედლები ლპებოდა და ჩამოქცევის საფრთხე იყო. შემდეგ კეთილმა ადამიანმა იზრუნა ამაზე და დახურა (აქ ბიუჯეტის ფულით არაფერი გაკეთებულა). ელემენტარულად, სახურავის ზედა ნაწილი გაკეთდა.

— ვინ გააკეთა?

— შეიძლება თვითონ არ უნდა დასახელება, მაგრამ სახურავი გააკეთა. წვიმა და თოვლი საფრთხეს აღარ უქმნის. აღარც ჩამოქცევის საფრთხეა. ცინიზმია, მაგრამ ამ შენობას შევარდნაძის დროს უფრო ექცეოდა ყურადღება. შევარდნაძის დროს მიიღეს გადაწყვეტილება, რომ აქ მემორიალური სახლ-მუზეუმი გახსნილიყო, ღობის გარეთ ტერიტორია მიუერთეს, დაიწყო საყრდენი კედლის მშენებლობა და შიგნით რეაბილიტაცია, მაგრამ როგორც კი სააკაშვილი გახდა პრეზიდენტი, შეაჩერა სამუშაოები. განსაკუთრებით, ზვიად გამსახურდიას გადმოსვენების შემდეგ, 2007 წელს, სააკაშვილმა გასცა ბრძანება, რომ აქ თითი თითზე არ დაედოთ. მე გულუბრყვილოდ ვუდგებოდი საკითხს. მწერდნენ წერილებს, თითქოს 600 ათასი გამოიყო, 100 ათასი გამოიყო, თითქოს სუბელიანი პირადად ხელმძღვანელობდა მშენებლობას და ველოდებოდი, რომ გაკეთდებოდა. ბოლო წერილი 2007 წელს მივიღეთ, მაგრამ არაფერი გაუკეთებიათ. მეც ჩემი წყაროები მყავს ხელისუფლებაში და ვიცი, რომ ეს არის სააკაშვილის პირადი ბრძანება. კოლხური კოშკის ხელახლა გადაწვასა და დანგრევას ვერ ბედავენ, როგორც 1992 წელს გადაწვეს, მაგრამ უნდათ ასეთ ვითარებაში დარჩეს — აქ არც მუზეუმი გაიხსნას, ვერც ოჯახმა იცხოვროს და რეალურად ისტორიის კუთვნილება გახდეს.

— 2007 წლამდე იყო მთელი ოთხი წელი, რომელ პერიოდშიც ასევე სააკაშვილი იყო ხელისუფლებაში. რამდენადაც ვიცი, ზვიად გამსახურდიას მომხრეთა ნაწილი მასთან იყო...

— დღესაც არის. ზვიად გამსახურდიას მომხრეები იყოფიან ორ ნაწილად: არიან ზვიადისტები და არიან პრეზიდენტისტები. ის ხალხი, რომელიც დღეს არის პარლამენტში ხერხეულიძეებისა და წიკლაურების სახით, ზვიადისტები კი არა, პრეზიდენტისტები არიან. ისინი სააკაშვილის შემდეგ ვინც იქნება, იმის მომხრეები იქნებიან. ვინც იქნება პრეზიდენტი, იმის მომხრეები იქნებიან. ეგენი ზვიადის მომხრეები იყვნენ მანამ, სანამ ზვიადი პრეზიდენტი იყო. სააკაშვილის მომხრეები შემდეგ გახდნენ, როდესაც სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა. მე, მაგალითად, სააკაშვილს მხარს ვუჭერდი, სანამ პრეზიდენტი გახდებოდა. რევოლუციაშიც ვმონაწილეობდი და იქ არც წიკლაური მინახავს და არც ხერხეულიძე. სააკაშვილი პრეზიდენტი რომ გახდა და რეზიდენციაში დაჯდა, მერე გაუსკდათ სიყვარულის ბუშტი. ამიტომ მათი ზვიად გამსახურდიას სახელთან ასოცირება სწორი არ არის.

— რატომ მანიპულირებენ ზვიად გამსახურდიას სახელით?

— იმიტომ მანიპულირებენ, რომ ამორალურები არიან. როგორ შეიძლება, განსაკუთრებით ნუგზარ წიკლაური, ეკა ხერხეულიძე რაღაც ასოცირებას ახდენდნენ ზვიად გამსახურდიასთან. ეს ხომ ნონსესია. ჩვენ, ქართველი საზოგადოებაც, ბევრ რამეში ვცოდავთ, თავმოყვარე ერი ასე არ იქცევა. ზვიად გამსახურდიას ქუჩას დაარქვეს ალიევის ქუჩა. შენი ქვეყნის პრეზიდენტის სახელობის ქუჩას აზერბაიჯანის პრეზიდენტის სახელი დაარქვეს. მაშინ გამოვიდა ეკა ხერხეულიძე, გადმოაგდო მეტრონახევრიანი ენა ტელევიზორში და თქვა, იმიტომ გადავარქვით, უკეთეს ადგილს გვინდა დავარქვათო.

— მაგრამ უკეთესი ადგილი არ გამოჩნდა.

— ხუთი წელი გავიდა და სად არის? როგორც საკრებულოს წევრმა, თბილისის საკრებულოში შევიტანე ინიციატივა, საბურთალოს ქუჩისთვის და თბილისის აეროპორტისთვის დაგვერქმია ზვიად გამსახურდიას სახელი. დედა რომ შემეგინებინა პერსონალურად საკრებულოს 49 წევრისთვის, ასეთი მძაფრი რეაქცია არ ექნებოდათ, როგორც ამ წინადადებას. ყირაზე გადავიდნენ, ნერვები აიშალეს, ყველა მოთხოვნას დაგიკმაყოფილებთ, ოღონდ ეს წინადადება მოხსენითო.

— ისე, ზვიად გამსახურდიას მიერ ჩაყრილ საფუძველს ძალიან ებღაუჭებიან და მის მიერ გამოცხადებულ დამოუკიდებლობას სათავისოდ კარგად იყენებენ ნაციონალები.

— მათთვის ზვიად გამსახურდია დღესაც პოლიტიკური ოპონენტია. რას შეეწირა ზვიად გამსახურდია 1993 წელს? ის გახდა რუსეთისა და ამერიკის შეთქმულების მსხვერპლი იმიტომ, რომ მას უნდოდა დამოუკიდებელი საქართველო. არა მარტო იურიდიულად გაეროს წევრი საქართველო, არამედ რეალურად დამოუკიდებელი საქართველო, სადაც ქართველი ერი მიიღებდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. ცოტნე რატომ ზის ციხეში? საიდან მოდის, საერთოდ, ანტაგონიზმი ზვიად გამსახურდიას მიმართ სააკაშვილის ხელისუფლებაში?

— ბატონო კახა, თითქოს ახალი ხალხი მოვიდა, რომელმაც დაგმო შევარდნაძე, რეალურად კი არაფერი შეცვლილა. რატომ?

— 2007 წელს ისინი შეეცადნენ, ზვიად გამსახურდიას სახელი საკუთარი პროპაგანდისთვის გამოეყენებინათ. თავიდან მიშას ჰქონდა პრეტენზია, ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ მემკვიდრედ წარმოეჩინა თავი. მოხდა ისე, რომ 50 ათასი ადამიანი შეიკრიბა, როცა ზვიადის ცხედარი დაასვენეს პარლამენტის წინ. როდესაც სააკაშვილი ჩამოვიდა პარლამენტის შენობის წინ (თავისი მიკროფონი და ტრიბუნა მოჰქონდა ილიაში ამოჩრილი) და სიტყვით მიმართვა უნდოდა (იქ ნამდვილი ზვიადისტები იყვნენ. იქ არ იყვნენ ხერხეულიძეები და ზვიადის დროინდელი ფუნქციონერები. იქ იყვნენ ნამდვილი მომხრეები, ვინც ზვიადის პატივის მისაგებად მოვიდა), მაგრამ ისეთი სკანდირება დაიწყო ხალხმა, ზვიადი, ზვიადიო, სააკაშვილისთვის რომ სიტყვა არ მიეცათ, სანამ არ წავიდა სააკაშვილი, სკანდირება არ შეუწყვეტიათ. ეს იმიტომ გააკეთეს, სააკაშვილს არ გაებედა ხალხისთვის სიტყვით მიმართვა. თუ სააკაშვილს რაიმე ილუზიები ჰქონდა, იმ დღეს დარწმუნდა, რომ ის ვერასოდეს გახდება ზვიადის შემცვლელი ამ ელექტორატისთვის. როგორც ნაპოლეონის გვარდია ნაპოლეონთან ერთად დაიღუპა, ისე იმ ხალხისთვის იყო ზვიადი მთავარსარდალი და მორჩა.

— თუმცა, პარლამენტის წინ ჩამოსვლამდე სააკაშვილი არ მოიქცა, როგორც ამ ქვეყნის მეთაური და სიტყვის თქმის უფლებაც დაუმსახურებია. პირველი პრეზიდენტი ჩამოასვენეს ქვეყანაში და დროშა სანახევროდაც კი არ დაუშვია, მისი სიტყვის მოსმენა ვის რაში უნდოდა?

— ეს მე ძალიან კარგად მახსოვს. რაც კეთდებოდა, ყველაფერმა ცოტნესა და გიორგის მხრებზე გადაიარა. შეიძლება უპატრონო მიცვალებულს უფრო მეტი პატრონი გამოუჩნდეს ამ ქვეყანაში, რაიონის გამგეობა მაინც შეწუხდეს, ზვიად გამსახურდიას გადმოსვენებაც, დაკრძალვაც და მთელი ის ცერემონიალი ოჯახის ზურგზე გადავიდა.

— თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი ხომ ჰყავდათ გამოგზავნილი, ინფორმაცია რომ ჰქონოდათ.

— კობა სუბელიანი არაფერს აკეთებდა. მახსოვს, მთაწმინდაზე საფლავი არ იყო წესიერად გათხრილი. მარტო საფლავზე იმდენი ვაჭრობა მიდიოდა, გეგონებოდა... ეს ქვეყანა რომ არის დღეს და საქართველო ჰქვია და არა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ამაზე ყველაზე მეტი ღვაწლი ზვიად გამსახურდიას ეკუთვნის, მაგრამ რით გადაუხადეს სამაგიერო? ერთი შვილი ციხეშია, სახლი იავარქმნილია და მისი სახელი დღეს არაფერს არ ჰქვია ამ ქვეყანაში.

# რუსუდან ბოლქვაძე: რეჟისორობა ძალიან მძიმე ყოფილა

ეკა ირემაშვილი

მსახიობმა რუსუდან ბოლქვაძემ თავისი შესაძლებლობები რეჟისურაში მოსინჯა. თეატრის მოყვარულ საზოგადოებას მან თუნჯერ ჯუჯენოღლუს ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ზვავი“ შესთავაზა, რომლის თარგმანიც ვარლამ ნიკოლაძეს ეკუთვნის, მხატვრობა – ნინო ჩიტაიშვილს, მუსიკალური გაფორმება – ია საკანდელიძეს, ქორეოგრაფია – ზურაბ ბეგლარიშვილს. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები ლია კაპანაძე, რევაზ თავართქილაძე, ანი იმნაძე, გიორგი ყიფშიძე, დარეჯან ხაჩიძე, გია აბესალაშვილი, ლაურა რეხვიაშვილი, ნიკა წერედიანი, გვანცა გურგენიშვილი, ანრი ბიბინეიშვილი.

რატომ დაინტერესდა რეჟისურით, კიდევ დადგამს თუ არა სპექტაკლს და რატომ შეაჩერა არჩევანი თურქი დრამატურგის პიესაზე, ამ თემებზე „ახალი თაობა“ მსახიობს ესაუბრა.



## რუსუდან ბოლქვაძე:

– არასოდეს მიფიქრია, რომ სპექტაკლს დავდგამდი... თუმცა, რეჟისორობას რამდენიმე წლის წინ, ვალდორფის თავისუფალი სკოლის ბავშვების წყალობით ვეზიარე. ეს ჩემთვისაც ძალიან მოულოდნელი იყო. იქ „თეატრი“, როგორც საგანი, ისწავლება, რათა ბავშვები შეეხონ იმ სამყაროს, რასაც ჰქვია პროფესიული თეატრი და სამსახიობო ხელოვნება, გამოიმუშავონ საჭირო უნარ-ჩვევები. ეს საკმაოდ საინტერესო პროცესია, ადამიანს ამის სწავლა ისევე სჭირდება, როგორც გეოგრაფიის ან ბიოლოგიის. თავიდან სპექტაკლის დადგმაზე ლაპარაკი არ ყოფილა, მხოლოდ სავარჯიშოები და ეტიუდები უნდა გვეკეთებინა. მაშინ ეს ბავშვები იყვნენ მერვე კლასში. მერე „შემომაპარეს“, სპექტაკლი დავდგათო. მართალია, სასკოლო სპექტაკლი იყო, მაგრამ ჩვენ სერიოზულად მივუდექით, არ მიყვარს ზედაპირულად საქმის კეთება. ფორმაც მოვიფიქრეთ, ამ თამაშ-თამაშში დავდგით საკმაოდ სერიოზული პიესა, ორი მოქმედება, მიუზიკლი „მევიოლინე სახურავზე“, სადაც თვითონ უკრავდნენ, თვითონ შექმნეს დეკორაცია, თვითონ შეიკერეს კოსტიუმები და მოხდა ისე, რომ ორი წლის შემდეგ ჩვენ ისევ შევხვდით ერთმანეთს. კიდევ დავდგით და „არა უშავს“ სპექტაკლი გამოგვივიდა, არც მეტი, არც ნაკლები – „კავკასიური ცარცის წრე“. ეს სკოლის სურვილი იყო, მათ უნდოდათ ბრეხტი, თანაც სწორედაც ეს პიესა. თავიდან გავაპროტესტე – ამ სპექტაკლზე გავიზარდე. იმდენად ძვალსა და რბილში მაქვს გამჯდარი, ხმა მესმის იმ გენიალური მსახიობების და ის გენიალური მიზანსცენები თვალწინ მიდგას. ძალიან რთული იქნებოდა ჩემთვის, ამ შთაბეჭდილებას გავქცეოდი. არ მინდოდა გამეორება და მიბაძვა, მაგრამ, მერე დავთანხმდი – ჩვენ ხომ არანაირი პრეტენზია არ გვქონდა, ეს სასკოლო სპექტაკლი უნდა ყოფილიყო და სასწავლო პროცესი, ბავშვების აღზრდის პროცესი. იმ თემებთან შეხება, რომელიც ბრეხტს ამ პიესაში აქვს წამოჭრილი, ნამდვილად კარგი ზნეობრივი გაკვეთილი იქნებოდა მოზარდებისთვის. საინტერესოც კი იყო, რომ ჩვენ ჩვენებურად დაგვედგა ეს პიესა. საბედნიეროდ, მოვახერხეთ და გავექეცით რუსთაველის თეატრის გენიალური სპექტაკლის გავლენას. ეს იყო პირადად ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. ბავშვები გატაცებით მუშაობდნენ და ძალიან კარგი სახეები შექმნეს, რომლებიც არაფრით ჰგავდნენ ჩვენთვის უკვე ცნობილ პერსონაჟებს, ჩვენი ამოცანაც სწორედ ეს იყო. ჩვენ ჩვენი „კავკასიური“ გვქონდა, რომელიც ღია ცის ქვეშ ვითამაშეთ.

***– ბავშვებთან ხშირად მუშაობთ?***

– „ახალ სკოლა“-ში მიუზიკლი დავდგი ინგლისურად. სპექტაკლში არაქართველი ბავშვებიც თამაშობდნენ და რეპეტიციებს ინგლისურად ვატარებდი. ლტოლვილ ბავშვებთანაც გავაკეთე 2 პატარა სპექტაკლი. ამან რაღაც გამოცდილება შემძინა და გამაბედვინა სპექტაკლის დადგმა კინომსახიობთა თეატრის სცენაზე.

***– მსახიობები ადვილად დაითანხმეთ?***

– ჩანაფიქრი მოვუყევი და აენთნენ. გვერდში დამიდგნენ. ისინი ჩემი კოლეგები და მეგობრები არიან. ჩვენ უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის. ისინი პროფესიონალები არიან და მათთან ერთად 30 წელია თეატრში ვარ.

***– რატომ აირჩიეთ ჯუჯენოღლუს პიესა?***

– ეს პიესა თვითონ მოვიდა ჩემთან – ჩვენი თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგემ მანანა ანთაძემ, რომელიც პერიოდულად აწყობს ახალი პიესების, თარგმანების კონკურსებს, წამაკითხა. უბრალოდ წავიკითხე და რამდენიმე რეჟისორს თვითონ ვთხოვე, ნახეთ, რა საინტერესო პიესაა, დადგითმეთქი. აქ არ არის ისეთი როლები, რომ მის თამაშზე ოცნებობდე, მაგრამ თვითონ პიესა და სათქმელია ფრიად საინტერესო. დაწერილია ძალიან მარტივად და ადვილად. ჩავთვალე, რომ ეს პიესა უნდა დაიდგას, არსებობდეს სცენაზე. შევთავაზე რამდენიმე რეჟისორს, არა იმიტომ, რომ მე მეთამაშა, უბრალოდ მინდოდა დადგმულიყო, მაგრამ არ გამოვიდა. უნებურად დავიწყე ფიქრი. გონებაში მოიხაზა სპექტაკლი, თან ისეთი პერიოდი დაემთხვა, რომ როგორც მსახიობი, ნაკლებად ვიყავი დაკავებული, ამანაც იმოქმედა, იმიტომ, რომ ჩემი ტვინი თავისუფალი იყო. ჩემს მეგობრებს მოვუყევი, ერთმა შედარებით გაბედულმა მეგობარმა მითხრა, მიდი და შენ დადგი, რა მოხდა, ამდენი ადამიანი დგამსო. ფიქრში რაღაც ახალი იდეები მოვიდა, რაღაცნაირად ვუთხარი ჩემს თავს, რომ უნდა გამებედა და გავბედე.

***– რით მოგხიბლათ პიესამ?***

– ძალიან ოპტიმისტურია და სიცოცხლის დამამკვიდრებელი. სიყვარულით შიშის დაძლევაზეა, იმაზე, რომ თუ გულწრფელი და მართალი ხარ შენს ქცევაში, სიყვარულით და იმედით ხარ, ყველაფერი გამოვა. ასე მოგვივიდა მუშაობის დროსაც! ისეთი სიყვარული დატრიალდა, სრულიად უცხო ადამიანების მხრიდან, რომ გაკვირვებული დავრჩი. კულტურის სამინისტრო დაგვპირდა თავიდან თანხას, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მოხერხდა. იმედი მაინც მქონდა და არ გავჩერდი. როცა იცი, ღმერთი შენთან არის და გჯერა, ყველაფერი კარგად იქნება, აუცილებლად კარგად იქნება. ხომ ვიცოდი, რომ არ მამოძრავებს პატივმოყვარეობა, არც ვინმესთვის რაღაცის დამტკიცება მინდოდა, არც პრემიის მიღება მინდოდა, არც ის მინდოდა, დაფინანსება მომეპოვებინა და ნახევარი ჯიბეში ჩამედო, ამიტომ ვიყავი მართალი ჩემს თავთან პირველ რიგში, მქონდა სათქმელი და ეს სათქმელი იყო სიყვარული. ჩვენი რეპეტიციებიც მხოლოდ სიყვარული და ერთმანეთის პატივისცემა იყო, არანაირი კონფლიქტი არ ყოფილა არც ერთი წამი. მერე მოხდა ისე, რომ თიბისი ბანკმა მოგვცა ცოტაოდენი თანხა, რომელიც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ფსიქოლოგიურად მშვიდად ვყოფილიყავი. თეატრიც დამიდგა გვერდში, მერე სულ უცხო ადამიანები მჩუქნიდნენ ქსოვილებს, ტანსაცმელს. მათ თვითონ მოუნდათ, რომ რაღაც გაეკეთებინათ, გამოეხატათ დამოკიდებულება ჩვენ მიმართ. ბოლო წუთს, მერიის კულტურის სამსახურმაც გვიშველა, მათაც თავისი ადამიანური დამოკიდებულება გამოაჩინეს, რაც ჩემთვის ყველაზე ძვირფასია. ამ ყველაფერმა სული ჩაუდგა ჩვენს ჩანაფიქრს და საბოლოოდ მივიღეთ ასეთი სპექტაკლი.

***– როლები როგორ გაანაწილეთ?***

– პროფესიული და პიროვნული ნიშნითაც! შემოქმედებითი და მეგობრული გარემო ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის, განსაკუთრებით, როცა პირველ ნაბიჯს დგამ. თითოეული მათგანი გვერდით დამიდგა როგორც მსახიობი და როგორც მეგობარი. გონებაში რომ გავანაწილე როლები, მერე სათითაოდ ჩამოვუარე და მოვუყევი. უნდა გენახათ მათი რეაქცია. პირველად გია აბესალაშვილს ვუთხარი, მერე დარეჯან ხაჩიძეს, ლაურა რეხვიაშვილს, ქალბატონი ლია კაპანაძე დამიდგა გვერდით, გენიალური რეზო თავართქილაძე – მასთან მუშაობა დიდი ბედნიერება იყო ჩემთვის და არც ახალგაზრდებს უთქვამთ უარი – გიორგი ყიფშიძეს, ანი იმნაძეს და ნიკა წერედიანს. გიორგი ჩვენი შვილია, ჩვენს თვალწინ გაზრდილია. ანიზეც შეიძლება ვთქვა რომ ჩემი „შვილია“, რადგან ნუკრი ქანთარიას მოწაფეა, მე და ნუკრი კი ვართ ქალბატონი ლილი იოსელიანის მოწაფეები. ქალბატონი ლილის და თუმანიშვილის „შვილები“ და „შვილიშვილები“ ვართ ყველა ამ სპექტაკლში... ამ ანსამბლს დაემატა ორი დიდი პროფესიონალი თავის საქმის – მხატვარი ნინო ჩიტაიშვილი და მუსიკალური გამფორმებელი ია საკანდელიძე. სპექტაკლმა თუ სუნთქვა დაიწყო, ეს მსახიობებთან ერთად ნინოს და იას დამსახურებაა. მთავარი სპექტაკლში ატმოსფეროა, ერთგვარი ბიოველი, რომელსაც ვერც მხოლოდ მიზანსცენით შექმნი, ვერც მსახიობის თამაშით. თუ ეს სპექტაკლში არის, მაშინ ის ცოცხალია.

***– თქვენ არ გინდოდათ ამ სპექტაკლში თამაში?***

– არ მინდოდა. ჩემთვის უფრო მეტად სათქმელი იყო მთავარი, ვიდრე რომელიმე კონკრეტული პერსონაჟის თამაში. პიესა უფრო სქემატურია და შენი ვერსია შეგიძლია ჩადო. როცა როლებიც გავანაწილე და მსახიობებსაც მოვუყევი სპექტაკლის სათქმელი, ჩემთვის გონებაში უკვე გამზადებული მყავდა პერსონაჟები. ზუსტად ვიცოდი, როგორი მამა მინდოდა გიას ეთამაშა, როგორი ბებიაქალი – ლაურას და ა.შ. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ მოკლე დროში დავდგით სპექტაკლი, ასევეა პიესაშიც – დროის ფაქტორი უმნიშვნელოვანესია. მოსწრებაზეა ყველაფერი, წუთი წუთზე ემთხვევა ზვავსაშიში პერიოდის გადავლა და გოგონას მშობიარობა. ახლა რომ ვუკვირდები, ჩემთვის ძირითადი გამაღიზიანებელი დროის ფაქტორი იყო. გამიჩნდა შეგრძნება, რომ ძალიან ბევრი დრო დავკარგე... ბევრ დროს ვანდომებთ სპექტაკლის დადგმასაც... იმას არ ვამბობ, რომ ხაჭაპურებივით გამოვაცხოთ სპექტაკლი, მაგრამ თუ არჩევაზე დადგა საქმე, ორი წელი მოვანდომოთ დადგმას თუ ორი თვე, მე ორ თვეს ავირჩევდი. თეატრი ძალიან თანამედროვეა. მით უმეტეს, დღევანდელი ცხოვრება და ტემპი ისეა დაჩქარებული, თუ ფეხი არ აუწყე, მერე სათქმელი და პრობლემა ძველდება. საბედნიეროდ, ამ პიესაში ისეთი სათქმელია, რომელიც არასოდეს დაბერდება, იმიტომ, რომ შიში სულ არის. როცა რეჟისორმა იცის, რა უნდა და ჰყავს პროფესიონალი მსახიობები, რომლებმაც იციან თავისი საქმე, შეიძლება დაიდგას სპექტაკლი ორ თვეში. ჩვენც ორ თვეში დავდგით სპექტაკლი. მიუხედავად იმისა, რომ კალენდარულად სამი თვე გვქონდა, იანვარი დაემთხვა და იანვარი, მოგეხსენებათ, როგორი თვეა საქართველოში – ორმაგი დღესასწაულებია და ამ თვეში ყველაფერი გაჩერებულია. ორი თვიდან 4-5 დღე გვქონდა სცენაზე, რომ სპექტაკლი აგვეგო. დაჩქარებული ტემპით ვიმუშავეთ. აქაც მსახიობებმა ძალიან ივაჟკაცეს. მადლობელი ვარ, რომ გამომყვნენ და მენდნენ.

***– არ კამათობდით?***

– ბუნებრივია! კი მოვუყევი მათ ჩანაფიქრი, მაგრამ მოყოლა ერთია და სცენაზე გადატანა მეორე. შევძლებდი ამას თუ ვერა? ბუნებრივია, რომ ამის ინტერესი დიდი იყო. კამათიც გვქონდა და დარწმუნება-გადარწმუნების მცდელობაც.

***– არ გეშინოდათ, სპექტაკლი რომ არ გამოსულიყო?***

– რა თქმა უნდა! ამისგან დაზღვეული არავინაა. თვით დიდი რჟისორებიც. მაგრამ ჩვენ პროტესტი გამოვუცხადეთ შიშს! შიში თრგუნავს თავისუფლებას, ხელოვნება კი თავისუფლების შეგრძნების გარეშე არ არსებობს. თუ არ გამოვიდოდა, ბოდიშს მოვიხდიდით... შექსპირი იხდიდა ბოდიშს ყველა პიესის ბოლოს, თუ არ მოგეწონათ – გვაპატიეთო და...

***– ღირდა თქვენთვის გარისკვა?***

– ჩემთვის ნამდვილად ღირდა და დარწმუნებული ვარ, რომ მსახიობებისთვისაც. თუ მსახიობს არ უნდა, ვერანაირი ძალით ვერ შეაგდებ სცენაზე, რადგანაც ძალით სპექტაკლის თამაში, თუ არ გსიამოვნებს და არ გინდა, ეს არის ჯოჯოხეთი. ასეთ დროს მსახიობი ბოდიშს მოგიხდის და წავა, ან დელიკატურად დააღწევს თავს. აქ ეს არ მოხდა, ამიტომ, ვფიქრობ, მათაც ულირდათ... ლია კაპანაძე სამჯერ, ოთხჯერ სერიოზულად ავად გაგვიხდა და არც ერთი დღე არ გაუცდენია, ავადმყოფი დადიოდა. რეზო თავართქილაძე პარალელურად სამ რეპეტიციაზე დადიოდა ქალაქის სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ საათნახევარი თავისუფალი დრო რომ გამოუჩნდებოდა, ჩვენთან მოდიოდა.

***– მკაცრი რეჟისორი ხართ?***

– არ ვიცი, ეგ მსახიობებს უნდა ჰკითხოთ. თითქოს არ ვარ მკაცრი. ვისაც როდის ეცალა, იმის მიხედვით ვნიშნავდი რეპეტიციებს, ვცდილობდი ანგარიში გამეწია მათი აზრისთვის, ისე ვექცეოდი მათ, როგორც მე მინდა, რომ რეჟისორი მომექცეს. ერთმანეთის პატივისცემა გვაქვს და გაგვიმძაფრდა კიდევ უფრო. ყველაზე ძვირფასი კი ის იყო, რომ ჩვენს რეპეტიციებზე იგივე სული დატრიალდა, რაც ასე მონატრებული გვაქვს. ჩვენ ისე ვმუშაობდით, როგორც თუმანიშვილმა გვასწავლა.

***– როგორ შეგაფასეს კოლეგებმა?***

– სპექტაკლი ნახეს როგორც პროფესიონალმა რეჟისორებმა, ასევე თეატრმცოდნეებმა. თვითონ დრამატურგი ჩამოვიდა პრემიერაზე და დადებითი აზრი გამოთქვა, ქალბატონმა ლილი იოსელიანმაც... მინდოდა რეპეტიციებზე ჩვენი რეჟისორები და კოლეგები მოსულიყვნენ და მათთვის აზრი მეკითხა, მაგრამ ბოლო დღემდე არ მოხერხდა. ერთ-ერთი ბოლო დღე იყო ჩემთვის მნიშვნელოვანი, როცა მოვიდნენ ჩვენები – ნუგზარ ბაგრატიონი, ზურაბ ყიფშიძე, ზურა გეწაძე, სხვა მსახიობები და ნახეს სპექტაკლი, ეს იყო მონახაზი, არც მუსიკა გვქონდა ჯერ, არც განათება, არც კოსტიუმები არ გვეცვა ბოლომდე. მარტო მონახაზი გავითამაშეთ და ისეთი ჯანსაღი, კარგი, ძველებური, ჩვენებური სული დატრიალდა ამ გარჩევაზე, ისეთი ანთებულები და მონდომებულები იყვნენ, ჩვენი თეატრის საუკეთესო დრო გამახსენდა. ეს იყო „თუმანიშვილის თეატრი“ ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ყველა ერთად ვიყავით და აქ არ იყო „ჩემი და იმის როლი“, აქ იყო „ჩვენი სპექტაკლი“. იმ დღეს საოცრად ბედნიერი ვიყავი. მარტო იმიტომ ღირდა ამ სპექტაკლის დადგმა, რომ ეს დღე დაბრუნებულიყო.

***– მაყურებელმა გაიგო თქვენი სათქმელი?***

– ეგ არავინ არ იცის. ჩემს სპექტაკლს კი არა, ჯოკონდას ყველა ისე იგებს, როგორც უნდა. ხელოვნების ნებისმიერ ნაწარმოებს, რომელიც ერთი ადამიანის შინაგანი სამყაროდან გარეთ გამოვიდა და სხვა ადამიანების განსახილველი გახდა, ყველა ისე გაიგებს, როგორც მას უნდა. ვიღაცას მოსწონს, ვიღაცას არ მოსწონს. როცა საჯარო განხილვაზე გამოგაქვს შენი ნამუშევარი, მზად უნდა იყო, რომ ვიღაცას მოეწონება, ვიღაცას არა და ყველას მოსაწონი ვერ იქნები, მაგრამ არა უშავს.

***– ბატონ მიშასთან გატარებული წლები გამოგადგათ?***

– რა თქმა უნდა! ინსტიტუტში რეჟისურის კურსი არ გამივლია და დიპლომი არ მაქვს, მაგრამ 15 წელი გავატარე ამ ადამიანთან, მანამდე კი 4 წელი ქალბატონ ლილი იოსელიანთან. ეს ძალიან დიდი სკოლაა. იმის მერე სულ ვარ მასთან და ყოველთვის რაღაცას ვსწავლობ.

***– რეჟისურა ქალის პროფესია არ არისო, ეთანხმებით?***

